200.000 ტონა ჩაისათვის!

20 მაისისათვის რესპუბლიკაში

მოკრეფილია 9.298 ტონა «მწვანე ოქრო»

შარშან ამავე პერიოდისათვის მოკრეფილი იყო 6.459 ტონა ჩაის ფოთოლი

ყველანი ჩაის პლანტაციებზე!

ვკრიფოთ განუწყვეტლივ, ყოველგვარ ამინდში, არ დავუშვათ შემოსული დუყეზის გაუხეშება

სამშობლოს—მეჯი ქართული ჩაის

შეჯიბრების დროშით

წელს ჩვენი მეურნეობის წინაშე დიდი ამოცანებია დასახული. სახელმწიფოს უნდა ჩავაბაროთ 890 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. მაგრამ ვიკისრეთ გეგმის გადამეტებით მიყიდოთ სახელმწიფოს 80 ტონა „მწვანე ოქრო". პლანტაციებში შევიტანეთ 255 ტონა ფოსფორიანი სასუქი, ხოლო 250 ჰექტარზე კალიუმიანი სასუქი.

ჩაის პლანტაციების გადაბარვა მექანიზებული წესით შესრულდა 50 ჰექტარზე, გასხვლა — 130 ჰექტარზე, ფუმიგაცია — 130 ჰექტარზე. კულტივაცია განხორციელდება 960 ჰექტარზე. წელს მივიღეთ ჩაის ფოთლის საკრეფი მანქანები „საქართველო". ჩაის ფოთოლი მანქანებით მოიკრიფება 30 ჰექტარზე.

რამდენიმე დღეა კრეფა დავიწყეთ. მეურნეობის ყველა განყოფილება და ბრიგადა ჩაბმულია შეჯიბრებაში. გადდებული ვალდებულება იკისრა მეორე განყოფილებამ. იგი იბრძვის 540 ტონა ჩაისათვის ნაცვლად გეგმით მიცემული 495 ტონისა. მეორე განყოფილების მეცხრე კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრები საშუალოდ ჰექტარზე 7 ტონაზე მეტი ჩაის ფოთლის მისაღებად იბრძვიან.

ჩვენი კოლექტივი ჩაის ფოთლის უხვად მიღებისათვის შეჯიბრებაში იწვევს გეჯეთის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივს.

შ. ლემონჯავა,
ლესიჭინის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, ა. სიჭინავა — პარტბიუროს მდივანი, მთავარი აგრონომი, დ. სიჭინავა—მუშათა კომიტეტის თავმჯდომარე.

ფოტოლუტარები უველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი. № 118 (12934) | პარასკევი, 22 მაისი, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

ამ დღეებში ენერგიულად შრომობენ ზუგდიდის საწარმოო სამმართველოს ხეცერის საბჭოთა მეურნეობის მეჩაიეები, რომლებსაც ნაკისრი აქვთ ვალდებულება წელს მოკრიფონ 2.000 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ეს გეგმაზე 320 ტონით მეტია. ჩაის კრეფაში ყველაზე წინ მიდიან მკრეფავები მ. ხუფაცარია და ი. კიკვიტია.

სურათზე: წინა პლანზე — მეურნეობის დირექტორი, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი ა. რობავა, მკრეფავები მ. ხუფაცარია (მარცხნივ) და ი. კიკვიტია.

ფოტო ბ. სოკოლოვისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

სად და რამდენი მოიკრიფა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი

1964 წლის 20 მაისისათვის (ტონობით)

	აპრილ-მაისის გეგმა	შესრულება	გეგმის შესრულების პროცენტი
აფხაზეთის ასსრ	10220	1110	10,9
გალის	5373	468	8,7
ოჩამჩირის	3307	543	16,4
გულრიფშის	455	83	18,2
გუდაუთის	1085	16	1,5
აჭარის ასსრ	9985	2268	22,7
ქობულეთის	9905	2262	22,8
ქედის	80	6	7,5
მახარაძის	13922	934	6,7
აქედან ჩოხატაურის	1826	72	3,9
ზუგდიდის	12705	1716	13,5
აქედან წალენჯიხის	3780	448	11,9
ცხაკაიას	3605	790	21,9
ლანჩხუთის	3491	369	10,6
გეგეჭკორის	2975	784	26,4
წყალტუბოს	2555	527	20,6
წულუკიძის	1575	679	43,1
ზესტაფონის	116	113	97,4
საჩხერის	70	—	—
მაიაკოვსკის	31	8	25,8
სულ:	61250	9298	15,3
1963 წ. 20-V იყო	57050	6459	11,3
1964 წ. 15-V იყო	61250	4837	7,9

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო.

მომჭირნეობის რეჟიმი —ყველგან, ყველაფერში!

სოციალისტური საზოგადოება თავისი ბუნებით უაღრესად უაირათიანი საზოგადოებაა. საზოგადოებრივი დოვლათის მომჭირნეობით გამოყენება აჩქარებს ჩვენი ქვეყნის წინსვლას კომუნიზმისაკენ.

ლენინური კომუნისტური პარტია ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდა და აქცევს მომჭირნეობის უსასტიკესი რეჟიმისათვის ბრძოლას, რადგან იგი მიაჩნია შინასაბურნო დაგროვების შექმნისა და დაგროვებული სახსრების სწორი გამოყენების უმნიშვნელოვანეს პირობად.

დღეს, როცა ხელთ გვაქვს პარტიის XXII ყრილობის მიერ დასახული ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის ნათელი და კონკრეტული პროგრამა, კიდევ უფრო საჭიროა მომჭირნეობის რეჟიმის განხორციელება სახალხო მეურნეობის ყველა რგოლსა და მმართველობის ყველა დარგში. მეურნეობის გაძლოლის მაგალითები გვიჩვენებს, რომ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები გულმოდგინედ ეძებენ, პოულობენ და სამშობლოს სამსახურში აყენებენ წარმოების გამოუყენებელ შინარეზერვებს.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივმა უნარიანი შემოქმედებითი შრომით, შრომატევადი პროცესების ავტომატიზაციისა და მექანიზაციის განხორციელებით, ტექნიკის სიახლეთა დანერგვით, მომჭირნეობის მტკიცე რეჟიმის განხორციელების შედეგად ზარალი მინიმუმამდე შეამცირა. თუ 1958 წელს სახელმწიფო დოტაცია 24 მილიონ მანეთს შეადგენდა, მეტალურგებმა 1963 წელს იგი 4 მილიონ მანეთამდე შეამცირეს. წარმოების კოლექტივი შვიდწლედის მეექვსე წელს იმისათვის იბრძვის, რომ პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით მიიღოს იმდენი ეკონომია, რაც მთლიანად დაფარავს ზარალს და წარმოება რენტაბელური გახდება.

თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატმა, რომელიც ჯერ კიდევ შარშან ზარალით იყო დაგეგმილი, მომჭირნეობის რეჟიმის მტკიცედ განხორციელების შედეგად მიღებული ეკონომიით მთლიანად აანაზღაურა ზარალი და მტკიცედ დაადგა რენტაბელური მუშაობის გზას. მიმდინარე წლის მარტო პირველ კვარტალში ფეიქრებმა დაზოგეს 41 ტონა ბამბა, 134 ტონა პირობითი სათბობი, 376 ათასი კილოვატ-საათი ელექტროენერგია. პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვება გეგმასთან შედარებით აამაღლეს 1,4 პროცენტით, გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება შეამცირეს 86 ათასი მანეთით.

ქუთაისის ვ. ი. ლენინის სახელობის მაუდის ფაბრიკის კოლექტივმა მეურნეობის გაძღოლის კარგი მაგალითი გვიჩვენა. ფაბრიკა თვიდან თვემდე ყველა კოლექიურ-ეკონომიური მაჩვენებლის მიხედვით ასრულებს დავალებას. რაც მთავარია, აქ შეუნელებლად იბრძვიან პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის, ყველა უბანზე ეკონომიისათვის, მოგებისათვის. წლის პირველ კვარტალში მარტო ნედლეულის დაზოგვით გასწიეს 74 ათასი მანეთის ეკონომია. მნიშვნელოვნად შეამცირეს არასაწარმოო ხარჯები. ეკონომიის ყველა რეზერვის ამოქმედებით ფაბრიკამ პირველ კვარტალში 172 ათასი მანეთი მოგება მიიღო.

მაგრამ მომჭირნეობის რეჟიმს ყველგან მთელი შესაძლებლობით როდი ახორციელებენ. რესპუბლიკის ბევრ ფაბრიკასა და ქარხანაში ურიგდებიან იმას, რომ მასალების, ნედლეულის, სათბობის, ელექტროენერგიისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა უყაირათოდ ხარჯვა დიდ დანაკარგს იწვევს. ნაკლებად ზრუნავენ პროგრესული ტექნოლოგიისა და ახალი ტექნიკის გამოყენებისათვის. ქუთაისის საშენ მასალათა კომბინატში ტექნოლოგიური პროცესების 52 პროცენტი ხელით სრულდება. დიდია წუნით გამოწვეული დანაკარგები. წუნმა პირველ კვარტალში 7,8 პროცენტი შეადგინა. კომბინატმა დაზოგა ნაცვლად 47 ტონა ქვანახშირი გადახარჯა. აქ მარტო სამმართველო აპარატის შენახვაზე 18.200 მანეთი გადახარჯეს, რაც გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულების 10,7 პროცენტს შეადგენს. ყოველივე ამან გამოიწვია პროდუქციის თვითღირებულების გადიდება, რაც მძიმე ტვირთად დააწვა წარმოებას. კომბინატს პირველ კვარტალში გეგმით 3.300 მანეთი უნდა ეზარალნა, ფაქტიურად კი ზარალმა 27.700 მანეთს გადააჭარბა.

ფაქტები მოწმობენ, რომ ბევრ ხელმძღვანელს დაავიწყდა მომჭირნეობის რეჟიმი, ჯეროვნად არ ზრუნავს მეურნეობის სწორად გაძღოლისათვის, ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატის შენახვის ხარჯების შემცირებისათვის. აქედან გამომდინარეობს ამოცანა — გაძლიერდეს ბრძოლა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მომჭირნეობის უმკაცრესი რეჟიმის განხორციელებისათვის.

ახლა, როცა ჩვენს ქვეყანაში ხორციელდება კომუნიზმის მშენებლობა, მომჭირნეობის რეჟიმს უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება. რაც უფრო სრულად და რაციონალურად გამოვიყენებთ საწარმოო რესურსებს, რაც უფრო უაირათიანად და ანგარიშიანად ვაწარმოებთ ჩვენს მეურნეობას, მით უფრო მეტ შედეგებს მივაღწევთ ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებაში.

ბრძოლა მომჭირნეობისა და უაირათიანობისათვის ხანგრძლივ კამპანია კი არ არის, არამედ მეურნეობის გაძღოლის მუდმივი, კომუნიზმის მშენებლობისათვის დამახასიათებელი მეთოდი.

წარმოების სწორი ხელმძღვანელობა, მეურნეობის უნარიანი გაძღოლა სამეურნეო ხელმძღვანელებისაგან მოითხოვს ღრმად ჩასწვდნენ წარმოების ეკონომიკას, შეამცირონ პროდუქციის თვითღირებულება, განახორციელონ სამეურნეო ანგარიში და იბრძოლონ საწარმოთა რენტაბელობისათვის. მომჭირნეობის უაღრესად მკაცრი რეჟიმის განხორციელების საკითხები ყოველთვის უნდა იდგეს მთელი ჩვენი სამეურნეო და პარტიული მუშაობის ცენტრში.

პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა კრიტიკის ცეცხლი უნდა წარმართონ იმ ხელმძღვანელთა უზრუნველობისა და თვითდამშვიდების წინააღმდეგ, რომლებიც ივიწყებენ მომჭირნეობის რეჟიმს, ყოველგვარი მფლანგველობისა და უყაირათობის წინააღმდეგ.

შვიდწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრების მსვლელობაში თვითეულ მუშაკს უნდა ჩავუნერგოთ საზოგადებრივი ქონებისადმი აყირათიანი მოპყრობის, დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა.

პარტიის XXII ყრილობის დირექტივები მოითხოვენ, რომ სამეურნეო მშენებლობის ყველა — დიდ და მცირე — უბანზე განუხრელად ხორციელდებოდეს მომჭირნეობის რეჟიმი, იზრდებოდეს საწარმოთა რენტაბელობა, მცირდებოდეს პროდუქციის თვითღირებულება, ხორციელდებოდეს სამეურნეო ანგარიში. საჭიროა უზრუნველვყოთ მატერიალური რესურსების შემდგომი მნიშვნელოვანი მომჭირნეობა მასალებისა და მოწყობილობის ხარჯვაში ზედმეტობის ლიკვიდაციით, წუნის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებით, სრულფასოვანი შემცველელების ფართოდ გამოყენებით და წარმოების პროგრესული ტექნოლოგიით. საფინანსო ორგანოების ვალია გაძლიერონ სამეურნეო გეგმების შესრულებისა და მომჭირნეობის რეჟიმის დაცვისადმი მანეთით კონტროლი.

უფრო ფართოდ გავაჩაღოთ ბრძოლა მომჭირნეობის უმკაცრესი რეჟიმისათვის, პარტიის XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, ყრილობისა, რომელმაც დასახა ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის დიდებული პროგრამა.

ნ. ს. ხრუშჩოვი ალექსანდრიაში

კაირო, 21 მაისი. (საკდესის სპეც. კორ.). ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი კვლავ ეცნობა არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას. დღეს დილით ნ. ს. ხრუშჩოვი, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტი გამალ აბდელ ნასერი და პირველი ვიცე-პრეზიდენტი მარშალი აბდელ ჰაქიმ ამერი სპეციალური მატარებლით ალექსანდრიაში გავემგზავრნენ.

ისევე, როგორც სტუმართმოყვარე ეგვიპტის მიწაწყალზე ყოფნის პირველ დღეებში, საბჭოთა მთავრობის მეთაურს ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს განსაკუთრებით გულთბილი შეხვედრა მოუწყეს მთელ გზაზე კაიროდან ალექსანდრიამდე. სპეციალურმა მატარებელმა, რომელშიც არიან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტი გამალ აბდელ ნასერი და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პირველი ვიცე-პრეზიდენტი მარშალი აბდელ ჰაქიმ ამერი, გაიარა სადგური ბენჰა, სადაც საპატიო სტუმრებს გულთბილად შეხვდნენ შეკრებილი მცხოვრებნი.

ტანტაში, გარბიის საგუბერნატოროს მთავარ ქალაქში, ვაგზლის მოედანი მორთულია საბჭოთა კავშირისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სახელმწიფო ალმებით, ნ. ს. ხრუშჩოვისა და პრეზიდენტ ნასერის პორტრეტებით. აქ შეიკრიბა ათეულათასობით მუშა და ფელაჰი, რათა მიესალმონ ძვირფას სტუმარს და უსურვონ მას ბედნიერება და დღეგრძელობა.

მატარებელი ჩავიდა სადგურ ტანტაში. გარბიის გუბერნატორი მუჰამედ ფარიდ სალამა მიესალმა ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს და მცხოვრებთა სახელით უსურვა ჯანმრთელობა. ბავშვები რუსულ და არაბულ ენებზე მიესალმნენ ნიკიტა სერგის-ძეს. ნ. ს. ხრუშჩოვს, გ. ა. ნასერს და მარშალ ა. ჰ. ამერს მიართვეს საგუბერნატოროს ოქროს ემბლემები.

ასეთივე გულთბილი შეხვედრა მოუწყეს საპატიო სტუმრებს დამანჭურშიც. მატარებელი ალექსანდრიას უახლოვდება.

ალექსანდრია, 21 მაისი. (საკდესის სპეც. კორ.). არასოდეს არ ყოფილა ასე საზეიმოდ მორთული ალექსანდრია — ხმელთაშუაზღვისპირეთის ეს მარგალიტი, როგორც დღეს — ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის ჩამოსვლის გამო. ჯერ კიდევ გუშინ გაზეთები წერდნენ, რომ მასპინძლობა, რასაც ალექსანდრია გაუწევს საბჭოთა მთავრობის მეთაურს, უმაგალითოდ ზეიმური იქნება.

დღეს ადრე დილიდან ალექსანდრიის ბავშვები გამოვიდნენ ქუჩებში, რომლებიც მიდიან ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვისათვის გამოყოფილი რეზიდენციისაკენ — რას ატ-ტინის სასახლისაკენ.

ტრტუარებზე, სახლების აივნებსა და სახურავებზე მოთავსდნენ ალექსანდრიელები ძვირფასი სტუმრის მოლოდინში.

შუადღისას მატარებელი, რომელშიც იყვნენ საპატიო სტუმრები, ჩამოდგა ქალაქის ვაგზალში. გაისმის ტაშის გრიალი, მისასალმებელი შეძახილები არაბეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის პატივსაცემად. ნ. ს. ხრუშჩოვი, პრეზიდენტი ნასერი და მარშალი ამერი გამოდიან ვაგონიდან. თეთრი მტრედების გუნდები აფრინდა ცაში — ასე მიესალმნენ სასურველ სტუმრებს ეგვიპტის ახალგაზრდათა ორგანიზაციის „ფუტუვის" ბავშვები.

კვლავ, ისევე როგორც არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში ჩასვლის პირველ დღეს, ღია ავტომანქანა, რომელშიც არიან ნ. ს. ხრუშჩოვი და გ. ა. ნასერი, მიემართება ალექსანდრიის ქუჩებში. მანქანა ძლივს მიიწევს აღფრთოვანებულ ადამიანთა ზღვაში. მთელ გზაზე ქალაქის ათეულ ათასობით მცხოვრები მხურვალედ მიესალმება ნ. ს. ხრუშჩოვსა და პრეზიდენტ ნასერს. გაისმის ხმამაღალი შეძახილები არაბეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობისა და თანაშრომლობის პატივსაცემად, საბჭოთა მთავრობის მეთაურისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტის პატივსაცემად. ყველგან ერთხმად გაიძახიან: „ხრუშჩოვ!", „ნასერ!", „ხრუშჩოვ!", „ნასერ!".

ალექსანდრია, 21 მაისი. საკდესის სპეც. კორესპონდენტი შ. ნოსოვი გვაცნობებს: მხურვალედ და საზეიმოდ შეხვდა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ხალხი საბჭოთა მთავრობის მეთაურს ნ. ს. ხრუშჩოვს. ეს გასაგებია, ვინაიდან არავის არ გაუწევია არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისათვის ისეთი ფართო დახმარება, როგორიც საბჭოთა ხალხმა და მისმა მთავრობამ გაუწიეს. არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ხალხი დიდად აფასებს საბჭოთა კავშირის დახმარებას დიდებული ნაგებობის — ასუანის მაღლივი კაშხალისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სხვა ობიექტების მშენებლობაში.

არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტის პროგრამა უკიდურესად დატვირთულია. მაგრამ სულ ახალ და ახალ ათასობით ადამიანს სურს შეხვდეს ძვირფას საბჭოთა სტუმარს და მიესალმოს მას. ამიტომ ვიზიტის პროგრამა გზადაგზა იცვლება.

ნიკიტა სერგის-ძე მაინც პოულობს დროს იმისათვის, რომ შეხვდეს პარლამენტართა დელეგაციებს, ოფიციალურ პირებსა და უბრალო ადამიანებს. დღეს ათეულ ათასობით ადამიანი საბჭოთა კავშირისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სახელმწიფო ალმებით, ყვავილების თაიგულებით, ტრანსპარანტებითა და დროშებით გამოვიდა რკინიგზის სადგურებზე, სადაც კაიროალექსანდრიის სპეციალურ მატარებელს უნდა ჩაევლო, რათა მიესალმებოდნენ ნ. ს. ხრუშჩოვს და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტს ნასერს.

დიღმის თერმტტის ნახევარია. სპეციალური მატარებელი სამი წუთით გაჩერდა ტანტაში, გარბიის საგუბერნატოროს დედაქალაქში... ირგვლივ ზღვა ხალხია, ხალხით არის სავსე ვაგზლის ბაქანი, სახლების სახურავები და აივნები. საპატიო სტუმრებს ვარდების დიდი თაიგულები მიართვეს და მისალმების ნიშნად ცოცხალი ყვავილების გირლანდები ჩამოჰკიდეს. ღია ვაგონისაკენ, სადაც ნ. ს. ხრუშჩოვი და პრეზიდენტი ნასერი დგანან, ასობით ადამიანს გაუწვდია ხელი. ნიკიტა სერგის-ძე მაგრად ართმევს მათ ხელს, მისალმების ნიშნად ხელს უქნევს იმათ, ვისაც ახლო მისვლის საშუალება არა აქვს.

გარბიის გუბერნატორი ფარიდ სალამა საგუბერნატოროს მოსახლეობის სახელით მიესალმა სტუმრებს. ირგვლივ გაისმის სიხარულის შეძახილები: „გაუმარჯოს ხრუშჩოვს! გაუმარჯოს ნასერს!". ნ. ს. ხრუშჩოვს, ნასერსა და მათ თანმხლებ პირებს სამახსოვრო საჩუქრები მიართვეს.

ასეთივე ჭეშმარიტად სახალხო შეხვედრა მოუწყეს საპატიო საბჭოთა სტუმრს კალიუბიისა და ბუჰეირის საგუბერნატოროთა ცენტრებში — ქალაქებში ბენჰასა და დამანჰურში.

...აი ალექსანდრიაც — არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის უდიდესი სამრეწველო, საგაჭრო ქალაქი და ნავსადგური. იგი მორიული და აელვარებული ათასობით ალმით, რამდენიმე ათეული ტრიუმფალური თაღით, ცოცხალი ყვავილებით, ტრანსპარანტებით, რომლებზეც წარწერილია ლოზუნგები ნ. ს. ხრუშჩოვის — არაბი ხალხების საუკეთესო მეგობრის, დედამიწაზე მშვიდობისა და ხალხთა ბედნიერებისათვის გამოჩენილი მებრძოლის პატივსაცემად.

ალექსანდრიის ვაგზლის ბაქანზე სტუმრებს ხვდებიან ალექსანდრიის გუბერნატორი მუჰამედ ჰამდი ამერი, მუნიციპალიტეტის წევრები, სამხედრო-საზღვაო სარდლობის წარმომადგენლები, სსრ კავშირის გენერალური საკონსულოს და სხვა საბჭოთა დაწესებულებების თანამშრომლები. ბავშვებმა ვარდების დიდი თაიგულები მიართვეს ნ. ს. ხრუშჩოვს, ნ. პ. ხრუშჩოვსა, პრეზიდენტ ნასერსა და მის მეუღლეს. გაისმის ხმამაღალი „ვაშა!", და სტუმრები ავტომანქანებში სხდებიან. კორტეჟი ნელა მიდის ქალაქის ქუჩებით რას ატ-ტინის სასახლისაკენ — ალექსანდრიაში ნ. ს. ხრუშჩოვის რეზიდენციისაკენ, რომელზეც საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმი ფრიალებს.

ისევე, როგორც 9 მაისს, ვიზიტის პირველ დღეს, როცა თბილისელ „არმენიით" ნ. ს. ხრუშჩოვი და მისი თანმხლები პირები არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში ჩამოვიდნენ, ალექსანდრიის ქუჩები კვლავ სავსეა ასეულ ათასობით მცხოვრებით, რომლებიც ქუჩაში გამოვიდნენ, რათა თავიანთი სიმპათიები გამოეთქვათ მეგობარი საბჭოთა ხალხის წარმომადგენლებისათვის.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

პროფესორ პ. მ. სარაჯიშვილის შრომის ნითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა მედიცინის მეცნიერებისა და ჯანმრთელობის დაცვის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით პროფესორი პეტრე მიხეილის-ძე **სარაჯიშვილი** დაჯილდოვდეს **შრომის ნითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე**

მოსკოვი, კრემლი.
1964 წლის 21 მაისი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ა. ნ. ნოვიცკის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებების უკრაინულ ენაზე თარგმნისა და მათი პოპულარიზაციის საქმეში დიდი დამსახურებისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით უკრაინელი პოეტი ალექსი (ოლექსა) ნიკოლოზის-ძე ნოვიცკი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვეტაძე

ქ. თბილისი, 1964 წლის 20 მაისი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. რ. კ. ქორქიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით მწერალი როდიონ კალენიკის-ძე ქორქია დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვეტაძე

ქ. თბილისი, 1964 წლის 20 მაისი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ჯ. ა. აბაშიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით მწერალი ჰაიდარ ალის-ძე აბაშიძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვეტაძე

ქ. თბილისი, 1964 წლის 20 მაისი.

მოდის ავტომატარებელი!

სამი წლის წინათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომელიც ქართველი ხალხის ერთგულ დღესასწაულზე ჩამოვიდა, დაათვალიერა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა. მას განსაკუთრებით მოეწონა 7 ტონის ტვირთამწეობის ავტომანქანა „კოლხიდა".

— ეს ძალიან კარგი, საინტერესო მანქანაა, — შენიშნა ნიკიტა სერგის-ძემ.

მაშინ „კოლხიდის" ტიპის სატვირთო ავტომანქანის „კაზ-606" მხოლოდ საცდელი ნიმუში იყო წარდგენილი გამოფენაზე. ახლა კი ამ მანქანებს ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში შეხვდებით.

ნ. ს. ხრუშჩოვის ასეთი მაღალი შეფასების პასუხად ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის კოლექტივმა განვლილ წლებში კიდევ უფრო ბეჯითად იმუშავა ახალი, უფრო სრულყოფილი კონსტრუქციის ავტომანქანების შესაქმნელად.

იმ ახალი ტიპის ავტომანქანებს შორის, რომლებიც ამ უკანასკნელად ქართველმა ავტომშენებლებმა შექმნეს, ყველაზე დიდი პერსპექტივისა და უპირატესობის მქონეა 11,5 ტონის ტვირთამწეობის ავტომატარებელი „კაზ-608".



ამ ახალ მანქანას ბევრი კონსტრუქციული თავისებურება აქვს, რაც მას არსებითად განასხვავებს არათუ ქარხნაში, მთელ ჩვენს ქვეყანაში დღემდე შექმნილი ავტომანქანებისაგან.

დიდ ტვირთამწეობას გარდა, ავტომატარებლის მთავარი უპირატესობაა მისი უკეთესი მანევრირება, მოხერხებულობა და კომფორტაბელობა.

...როგორც მის წინამორბედ „კაზ-606"-ში, ამ ახალ მანქანაშიც კაბინა განლაგებულია ძრავის ზემოთ და არა უკან, როგორც ეს ჩვეულებრივად ავტომანქანებს აქვთ ხოლმე.

კაბინის კონსტრუქცია ორიგინალურად არის გადაწყვეტილი. იგი ყირავდება, რაც რემონტის ან ტექნიკური მომსახურების შემთხვევაში ძრავასთან და სხვა აგრეგატებთან იოლად მიდგომის საშუალებას იძლევა. თვით კაბინის შეთანაწყობა უფრო რაციონალურია. მას აქვს გათბობა და ვენტილაცია. კაბინის წინა ნაწილში მძღოლს გარდა ორი-სამი კაცის საჯდომია, ხოლო უკანა ნაწილში მოთავსებულია საწოლი.

ახალ ავტომანქანაზე დადგმულია 150 ცხენის სიმძლავრის ძრავი, რომლის სიმძლავრე 50 ცხენის ძალით აღემატება მისი წინამორბედი ძრავის სიმძლავრეს. მოხერხებული პირობებია შექმნილი მანქანის მართვისათვის. სიჩქარეთა კოლოფის მართვის ბერკეტი საჭის მექანიზმის რგოლის ქვეშ არის, ხოლო საჭის მექანიზმში შეყვანილია ჰიდრავლიკური გამაძლიერებელი, რაც აადვილებს მძღოლის მუშაობას.

მომავალში მანქანას ექნება 2-სიჩქარიანი უკანა ხიდი, რაც იმის საშუალებას იძლევა, რომ მანქანამ სწორ გზებზე განავითაროს მაღალი სიჩქარეები, ადვილად გადალახოს აღმართი და დაღმართი.

ავტომატარებელში შედის ნახევრად მისაბმელი „კაზ-717". იგი ორღერძიანია. მისაბმელის მთელი ძარა — იატაკი და ბორტები გოფრირებული ფურცლოვანი ნაგლინისაგან არის დამზადებული. ამასთან ყველა ბორტი ერთი ზომისაა და გადაბმულია სპეციალური საყრდენებით, რაც მანქანის ყოველი მხრიდან დატვირთვის საშუალებას იძლევა.

ახალი მანქანა განკუთვნილია ყველა სახის საქალაქთაშორისო ტვირთების ცენტრალიზებული გადაზიდვისათვის. მომავალში იგი გამოყენებული იქნება მომმე სოციალისტური ქვეყნების ავტომაგისტრალებით ტვირთების გადატანისათვის.

მიმდინარე წლის მესამე კვარტალში დაიწყება ავტომატარებლის სერიული გამოშვება.

შ. ჯავახაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

* * *

სურათზე: 11,5 ტონის ტვირთამწეობის ავტომატარებელი „კაზ-608".

ფოტო ა. ჩარკვიანისა.

ყოველი საუბარი — აქტიური შემეგები

ორი თვეული წელია აგიტატორად ვმუშაობ. ამით ვამაყობ. სახელოთა საქმიანობლოს ეკონომიკის განმტკიცების, ახალი ადამიანის აღზრდის საქმეში ჩემ მიერ შეტანილი წვლილი მაღალ ჯილდოდ მიმაჩნია.

არ მინდა ამ წერილში დაწვრილებით ვილაპარაკო ჩემ მიერ გაწეულ მუშაობაზე; ვიტყვი მხოლოდ, რომ წლების განმავლობაში ჩამორჩენილი გრემის მაქსიმ გორკის სახელობის კოლმეურნეობა უკანასკნელ ხანს წელში გასწორდა. მარცვლეულის კულტურების, ყურძნის მოსავლიანობა, მეცხოველეობის პროდუქტიულობა სამჯერ და მეტად გაიზარდა. ამ საქმეში აგიტატორებმა დიდი როლი შეასრულეს. ზარმაცების, მუქთახორების, წამგლეჯების ფიქვეზე, რომ იტყვიან, მიწა იწვოდა. მათ ვამხილებდით, ვამყლავნებდით, ვკიცხავდით, თავიანთ დანაშაულში ვარწმუნებდით. ამან სასიხარულო შედეგი გამოიღო. კოლმეურნეობაში შრომის დისციპლინა განმტკიცდა. კარგა ხანია, რაც უბან-უბან აღარ გაისმის ბრიგადირების ხვეწნა-შუდარა: „ძალიან გთხოვ ნეობ, წამოდით, სიმინდი გავთოხნოთ, ვაწს ვუწამლოთ. მოსავალი ავიღოთ“, ახლა თითქმის ყველამ იცის თავისი საქმე.

ნ. ს. ხრუშჩოვმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში უყურადღება გამამახვილა მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების აქტიური ფორმების გამოყენების აუცილებლობაზე, მკაცრად გააკრიტიკა ამ ფრად საჭირო და სასარგებლო საქმის პასიური ფორმები. მან თქვა:

„...საჭიროა თვითეული კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, თვითეულ ბრიგადაში ვესაუბროთ ადამიანებს, რომლებმაც უნდა დანერგონ წარმოებაში სიახლენი, შევამოწმოთ ეს ადამიანები და ვასწავლოთ მათ შრომის ახალი მეთოდები, დავეხმაროთ, რომ აითვისონ ესა თუ ის მოწინავე საწარმოო პროცესი“.

გულახდილად უნდა ვთქვათ, რომ ამ დარგში დღემდე აგიტატორები ვცოდავდით. მოვიყვან ფაქტებს. ჩვენი კოლმეურნეობის წევრებს ა. პატიაშვილს და მის შეულლეს ეკატერინეს მოსავლელად მიწილენი აქვთ 2.5 ჰექტარი ვენახი. ძიუხედავად უამინდობისა, შარშან მათ 280 ცენტნერი ყურძენი მოიყვანეს, გეგმა კი 150 ცენტნერზე მეტს არ ითვალისწინებდა. შრომის დამატებითი ანაზღაურების ანგარიშში 1.500 მანეთი მიიღეს. პატიაშვილები პარტიაში ჩვენს კოლმეურნეობაში კი არა, მთელ ყვარლის რაიონში ნამდვილი შუქურები არიან. ეს კარგი, მაგრამ ის არ არის მოსაწონი, რომ შუქურების გვერდით ჩამორჩენილებიც გვყვანან. ზ. ყრინტაშვილმა ერთ ჰექტარ ვენახში სამ ცენტნერზე მეტი ყურძენი ვერ მიიღო. ასევე „იასნელა“ თავი კოლმეურნე ლ. გურგენაშვილმა.

რას ვაკეთებთ აგიტატორები შუქურების გამოცდილების დასანერგავად? ყველას ვაცნობთ მათს გამოცდილებას და ამას ვჭერდებით, ეს ნამდვილად აგიტაციის პასიური ფორმაა. ჩვენ ჯერ კიდევ ცოტას ვმუშაობთ იმისათვის, რომ ჩამორჩენილი კოლმეურნეებიც აღვზარდოთ შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით. სწორის იქნებოდა, რომ თვ რომელიმეს დახმარება დასჭირდებოდა, კოლმეურნეობის გამგეობისათვის მიემართა. მოკლედ ვიტყვი: საქმეს ბოლომდე უნდა მივიყოლოდით. მაშინ ყველა შუქურა გახდებოდა, კოლმეურნეობა დოვლათით ივსებოდა, დასკვნა ერთია. აგიტატორები მეცნიერების მიღწევების, მოწინავე გამოცდილების დანერგვას შეუნელებელ ყურადღებას უნდა აქცევდნენ, თავიანთი სიტყვის ძალას შრომის ნაყოფით უნდა იფასებდნენ.

აქედან მეორე საკითხი: აგიტატორი და სოციალისტური შეჯიბრება. ყველამ კარგად იცის, რომ მაღალ დონეზე დაყენებული სოციალისტური შეჯიბრება შრომის ნაყოფიერების გადიდების მნიშვნელოვანი წყაროა. რას ვაკეთებთ ამ დარგში? დაგვიძახებენ თათბირზე ან სემინარზე და გვეტყვიან, რომ ბრიგადებში გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება. დავალებას უეცრად ვასრულებთ. ვწერთ სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებებს, ხელს ვაწერინებთ და პარტორგანიზაციის მდივანს ან კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ვაბარებთ. ყველაფერი ამით მთავრდება. შესრულების შემოწმება, მოწინაეთა წახალისება, ჩამორჩენილთა მხილება გავიწყდება. ჩემი აზრით, ნამდვილად აჯობებს, რომ აგიტატორი თვითონვე ამოწმებდეს სოციალისტური შეჯიბრების ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობას და შედეგები საუბაროზე გამოაქვეყნებდეს.

კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსი ადამიანებისაგან მოითხოვს პატიოსნებას და სიმართლეს, ზნეობრივ სიწმინდეს, ურთიერთპატივისცემას ოჯახში. ზრუნვას ბავშვების აღზრდისათვის. ამ მხრივ ზოგნი სცოდავენ. თითქოს შვილებზე ზრუნავენ, ზ. თავდიდიშვილმა სანი ბავშვი ცოლის იმედად დატოვა და სხვას გაუბოზნურდა. მე თუ სხვა აგიტატორებს მათთან სათანადო აღმზრდელობითი მუშაობა რომ გვეწარმოებინა, ოჯახები არ დაინგრეოდა.

საჭიროდ მიმაჩნია, რომ აგიტატორები კვლავ და კვლავ ბევრს საუბრობდნენ კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსის პრინციპებზე.

მინდა აზრი გამოვთქვა ათეისტურ პროპაგანდაზეც. ამ თემაზე ხშირად ვაწყობთ საუბრებს, მაგრამ „ალაერდობაში“, „თეთრგორიგობაში“, „ნეკრესობაში“, „მარიამობაში“, „სამებობაში“ მაინც ბევრი ხალხი მიდის, რატომ? იმიტომ ხომ არა, რომ ყველას ღმერთი სწამს? ნამდვილად არა, მორწმუნენი ძალიან ცოტანი დარჩნენ, მაგრამ ადამიანებს ერთმანეთთან შეხვედრა, გართობა სურთ. მართალია, კინოთეატრები გვაქვს, სადაც ხალხი დადის, მაგრამ იქ რომ ცეკვა და სიმღერა დაიწყონ, ეს მარტო უხერხული კი არა, დანაშაულიც იქნება. ჩემი აზრით, აგიტატორები უნდა გახდნენ ლხინის, ზეიმის მოთავენი. ყველა სოფელს აქვს ბაღი, პარკი ან მოედანი. აქ შეიძლება ყოველკვირეობით იკრიბებოდნენ კოლმეურნეები და მართავდნენ შეჯიბრებას სპორტის სხვადასხვა სახეობაში, სიმღერებს, ცეკვა-თამაშს. მაშინ ახალგაზრდობა ეკლესიებისკენ აღარ წავა. დასვენებული მშრომელები უკეთ იშრომებენ.

აგიტატორებს დახმარებაც გვჭირდება, განსაკუთრებით კი მეთოდური. კარგი იქნება, თუ რესპუბლიკის დედაქალაქში და რაიონის ცენტრებში მოეწყობა აგიტატორთა გადასამზადებელი კურსები.

მ. ბაბლიაშვილი,
ყვარლის რაიონის სოფელ გრემის მ. გორკის სახელობის კოლმეურნეობის აგიტატორი.

პარტიული ცხოვრება

მასობრიობიდან — ოსტატობისაკენ

საქართველოს სსრ სასპორტო საზოგადოებების და ორგანიზაციების კავშირის მეორე კონფერენციისა

სპკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, თუ რა მნიშვნელობა აქვს ფიზიკურ ტრასა და სპორტს, როგორც ახალი ადამიანის ჩამოყალიბების ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორს, ისეთი ადამიანისას, რომელშიც ჰარმონიულად არის შეხამებული სულიერი და ფიზიკური განვითარება. საქართველოს ფიზიკურ-ტრულმა და სასპორტო ორგანიზაციებმა, ასრულებენ რა ბლეზომის გადაწყვეტილებებს ფიზიკურ-სპორტული მუშაობის გაძლიერების შესახებ, დიდ წარმატებებს მიაღწიეს. ამის მკაფიო დადასტურებაა მეხუთე ადგილი სსრ კავშირის ხალხთა მესამე სპარტაკიადაზე, სსრ კავშირის სპორტული საზოგადოებებისა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა, რომლითაც. 1959 წლიდან რესპუბლიკა ყოველწლიურად ჯილდოვდება წარმატებებისათვის მასობრივ ფიზიკურ-სასპორტო მუშაობის განვითარებაში.

საქართველოს სსრ სასპორტო საზოგადოებისა და ორგანიზაციების კავშირის მეორე კონფერენციამ, რომელიც 18 მაისს გაიმართა, განიხილა საკითხები, თუ როგორ ჩაბას მასობრივ-ფიზიკურ-ტრულ მუშაობაში ათასობით ახალი მშრომელი, როგორ მიაღწიონ იმას, რომ მასობრიობამ გადამწყვეტი როლი შეასრულოს სპორტსმენის ოსტატობის ამაღლებაში.

საანგარიშო მოხსენება წაიკითხა საქართველოს სსრ სასპორტო საზოგადოებებისა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. ვ. სიხარულიძემ. მან აღნიშნა, რომ ამჟამად საქართველოში არსებობს 6.318 ფიზიკურ-ტრული კოლექტივი და დაახლოებით 800 ათასი ფიზიკურ-ტრული სისტემატურად მონაწილეობს სხვადასხვა შეჯიბრებაში. ფიზიკურ-ტრული კოლექტივების შექმნა ყველა ორგანიზაციაში ჯერ კიდევ 1962 წელს დამთავრდა. ახლა რესპუბლიკის მოსახლეობის 18.5 პროცენტი რეგულარულად ვარჯიშობს ფიზიკურ-ტრულ და სპორტულ სექციებში.

საანგარიშო პერიოდში თითქმის 100 ათასით გაიზარდა ფიზიკურ-ტრასა და სპორტში ჩაბმული ქალების რიცხვი.

სხვადასხვა სასპორტო შეჯიბრებაში, რომლებიც რესპუბლიკაში 1963 წელს მოეწყო, მონაწილეობდა მილიონნახევარზე მეტი კაცი. ასეთმა მასობრიობამ ოსტატობაზეც მოახდინა გავლენა. მარტო გასულ წელს მომზადებულია 263 სპორტის ოსტატი, ეს კი თითქმის 9 ჯერ მეტია, ვიდრე 1955 წელს. ასევე კაცგი მაჩვენებლები გვაქვს თანრიგოსანი სპორტსმენების მომზადებაში. 1963 წელს ქართველმა სპორტსმენებმა დაამყარეს ერთი მსოფლიო, 3 სრულიად საკავშირო და 231 რესპუბლიკური რეკორდი.

როგორც საანგარიშო მოხსენების გამო კამათის მონაწილე დელეგატებმა აღნიშნეს, საქართველოში სულ უფრო მეტი ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის შუქურა ჩნდება. მაგრამ ჯერ კიდევ არის ფაქტები, როცა სერიოზულად არ ეკიდებიან ფიზკულტურულ-ტა და სპორტსმენთა საჭიროებებს. საწარმოებისა და დაწესებულებების ზოგიერთ ხელმძღვანელს ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა ჯერაც მეორეხარისხოვან საქმედ მიაჩნია.

თბილისის სასპორტო საზოგადოებებისა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს ქალთა ბიუროს თავმჯდომარემ გ. რცხილაძემ ილაპარაკა თბილისის სპორტსმენთა მიღწევებზე მოსახლეობის, სტუდენტებისა და მოსწავლეების ფართო ფენების ფიზკულტურასა და სპორტში მასობრივი ჩაბმის საქმეში. ხშირად ამ მუშაობას ხელს უშლის სპორტული ბაზების უქონლობა. დიდი პრეტენზიები უნდა წავუყენოთ მშენებლებს, რომლებმაც თბილისის მასობრივი განაშენიანების ახალ რაიონებში — საბურთალოში, დიღომსა და ნავთლულში არ აიშენეს გეგმით გათვალისწინებული სპორტული ნაგებობანი.

საზოგადოებრივ საწყისებზეა დაფუძნებული ამას წინათ სოხუმელმა კომკავშირლებმა სტადიონის მშენებლობა. ამ საქმეში მათ დახმარება სჭირდებათ, თქვა ბლებსაც განათლების სამინისტრო ახორციელებს მდგომარეობა. გამოსასწორებლად ფიზკულტურის ინსტიტუტის მეოთხე შედის საშუალო სკოლისა და რვაწლედის დამთავრების მოწმობაში, ფართოვდება საბავშვო სასპორტო სკოლების ქსელი.

სხვადასხვა სასპორტო ორგანიზაციის ანგარიშში ვხედებით ციფრებს, რომლებიც მეტყველებენ, რომ მომზადებულია ამდენი და ამდენი სპორტის ოსტატი, ამდენი თანრიგოსანი, გაგება შესრულებულია ამდენი და ამდენი პროცენტით. მაგრამ არავინ არ ლაპარაკობს მშრომელთა აქტიური დასვენების შესახებ, იმის შესახებ, თუ რამდენჯერ გვიმზავრნენ მშრომელები, რამდენჯერ მიიღეს მათ მონაწილეობა ტურისტულ ლაშქრობებში, როგორ ეწყობა ხელს რესპუბლიკური სასპორტო ორგანიზაციები მშრომელთა დასვენების მოწყობის, — თქვა თავის სიტყვაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა პ. ა. როდიონოვმა. ჩვენს რესპუბლიკაში საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებთან შედარებით, იდეალური პირობები გვაქვს მშრომელთა მასობრივი აქტიური დასვენების ორგანიზაციისათვის. ამ მუშაობის ფართო გაშლა შეუძლია ყველა ფიზკულტურულ კოლექტივს. სამწუხაროდ ამ საქმეს ჯერ ნაკლებ უყურადღებას უთმობენ. კარგი დასვენების შემდეგ კი ადამიანი ხომ ეკითხება გუნებაზედაც არის და უკეთესადაც მუშაობს.

უადრესად სერიოზული უყურადღება უნდა მიექცეს ეროვნულ სახეობათა სპორტს, როგორიცაა ქართული ჭიდაობა და ლელო. რესპუბლიკის მოჭიდაველეებმა ითავეთ ალსანელის ჩვენი სამშობლო ბევრ საერთაშორისო შეჯიბრებაში. მსოფლიო და ოლიმპიურ ჩემპიონთა ასეთი „თანამგზავსკელოვანი“ ყოველ სახელმწიფოს შეშურდება. მაგრამ რომ არ გვქონდა ქართული ჭიდაობა, რესპუბლიკაში ალბათ არც ამდენი მაღალი კლასის სპორტსმენი გვეყოლებოდა. იყო დრო, როცა ლელო უდიდეს ინტერესს იწვევდა, ამ შეჯიბრებებში მონაწილეობდნენ საქართველოს თითქმის ყველა რაიონის გუნდები. ახლა კი შემოგვრჩა ამ საინტერესო სახეობის სპორტის სულ ორი გუნდი. და რასაკვირველია, აქ ლაპარაკიც არ შეიძლება ოსტატობის ამაღლების შესახებ.

თავის სიტყვაში ამხ. როდიონოვმა დიდი ყურადღება დაუთმო ალმპრდელობთოს მუშაობას სპორტსმენებს შორის.

ვრცელ რეზოლუციაში საქართველოს სსრ სასპორტო საზოგადოებებისა და ორგანიზაციების კავშირის მეორე რესპუბლიკური კონფერენციის დელეგატებმა მოუწოდეს ყველა ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაკს, ყველა სპორტსმენს, ყოველი ღონე იხმარონ იმისათვის, რომ შეასრულონ მაღალი ვალდებულება — 1964 წლის დამლევისათვის შეასრულონ რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების შვიდწლიანი გეგმა. ეს ნიშნავს: გაზარდონ ფიზკულტურელთა რიცხვი 900 ათასამდე, მოამზადონ 300 სპორტის ოსტატი, 2.000 პირველთანრიგოსანი, 57 ათასი სხვა თანრიგის სპორტსმენი და 100 ათასი „მშო“ ნიშნოსანი. (საქმდეს).

მოქმედებაშია ახალი დადგენილება პენსიონერთა სასარგებლოდ

უგრუნველყოფილი სიბერე

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის და მთავრობის ყოველდღიური ზრუნვის სადარი საბჭოთა ხალხის ცხოვრების დონის ამაღლება. ამის ერთ-ერთი გამოხატულებაა ქანონი სახელმწიფო პენსიების შესახებ, რომელიც მიღებულ იქნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ 1956 წლის 14 ივლისს. ამ დიდ ჰუმანურ აქტში გამოხატულია კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის შეუნელებელი ზრუნვა მშრომელი ადამიანებისათვის, სოციალისტური საზოგადოების დაუღალავი მშენებლებისათვის.

სახელმწიფო პენსიების შესახებ კანონის გამოცემის შემდეგ დიდად გაუმჯობესდა მოხუცებულთა, ომისა და შრომის ინვალიდთა მატერიალური უზრუნველყოფა სიბერეში და შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევაში. ახალი კანონის ძალაში შესვლის შემდეგ ჩვენს ქვეყანაში საპენსიო უზრუნველყოფის ხარჯები თითქმის ხუთჯერ გაიზარდა და გასული წელს უკვე 7,6 მილიარდი მანეთი შეადგინა, რაც სახელმწიფო ბიუჯეტის თითქმის 9 პროცენტს შეადგენს.

თუ 1956 წელს საქართველოს რესპუბლიკაში სოციალური უზრუნველყოფის საჭროებაზე 50 მილიონი 103 ათასი მანეთი დაიხარჯა, 1963 წელს ამ ხარჯებმა მიაღწია 131 მილიონ 774 ათას მანეთს. ამჟამად ჩვენს რესპუბლიკაში ყოველი მეცამეტე მოქალაქე იღებს სახელმწიფო პენსიას, ხოლო ყოველი მეათე სარგებლობს სოციალური უზრუნველყოფის რომელიმე სიკეთით.

მარტო სახელმწიფო პენსიებისა და დახმარების გაცემით როდი ამოიწურება ზრუნვა მოხუცებულებზე, შრომისუნარმოკლებულზე, სამამელო ომისა და შრომის ინვალიდებზე. პენსიონერებისა და ინვალიდების საგრძნობი ნაწილი სარგებლობს უფასო სანატორიულ-საკურორტო მკურნალობით, სახელმწიფოს ხარჯზე იღებს საპრიტეზო-ორთოპედიულ ნაწარმს, მოტო და ველოსიპედს, ხელით სამართავ ავტომანქანებს.

„მარშან სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების უფასო საგზური მიიღო 3.105 კაცმა, რისთვისაც სახელმწიფომ გაიღო 314.994 მანეთი, მათ შორის 2.217 საგზური მიიღეს სამამელო ომის ინვალიდებმა. გარდა ამისა 1.241 კაცს საგზურის ნაცვლად გაეწია ფულადი დახმარება.

გასულ წელსვე სამამელო ომის ინვალიდებს უფასოდ მიეცათ 2.535 ცალი სხვადასხვა სახის საპროტეზო-ორთოპედიული ნაწარმი 86.634 მანეთის ღირებულებისა და 627 წყვილი ორთოპედიული ფეხსაცმელი. რაც სახელმწიფოს 7.599 მანეთი დაუჯდა. გარდა ამისა, 1963 წელს ომის ინვალიდებს უფასოდ მიეცათ 156 მოტოტალი, 108.586 მანეთის ღირებულებისა, ხოლო შრომის ინვალიდებს 27 ცალი ეელოტელი.

არსად არ არსებობს ისეთი დაბალი საპენსიო ასაკი, როგორიც ჩვენშია, რასაც ერთსულოვნად აღნიშნავენ უცხოეთიდან ჩამოსული ელეგაციები, რომლებიც ეცნობიან საბჭოთა კანონმდებლობას სოციალური უზრუნველყოფის დარგში. სახელმწიფო პენსიების შესახებ კანონის შესაბამისად საბჭოთა კავშირში მოხუცებულობის პენსიაზე გადასვლის უფლება ენიჭებათ მამაკაცებს 60 წლის ასაკში, ხოლო ქალებს 55 წლის მიღწევისას. მაგრამ მუშებსა და მოსამსახურეებს მიეცა, გარდა ისისა, რომ ზარმაცობს, ცოლშვილი მიაგავა, ზ. თავდიდიშვილმა სანი ბავშვი ცოლის იმედად დატოვა და სხვას გაუბოზნურდა. მე თუ სხვა აგიტატორებს მათთან სათანადო აღმზრდელობითი მუშაობა რომ გვეწარმოებინა, ოჯახები არ დაინგრეოდა.

საჭიროდ მიმაჩნია, რომ აგიტატორები კვლავ და კვლავ ბევრს საუბრობდნენ კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსის პრინციპებზე.

მინდა აზრი გამოვთქვა ათეისტურ პროპაგანდაზეც. ამ თემაზე ხშირად ვაწყობთ საუბრებს, მაგრამ „ალაერდობაში“, „თეთრგორიგობაში“, „ნეკრესობაში“, „მარიამობაში“, „სამებობაში“ მაინც ბევრი ხალხი მიდის, რატომ? იმიტომ ხომ არა, რომ ყველას ღმერთი სწამს? ნამდვილად არა, მორწმუნენი ძალიან ცოტანი დარჩნენ, მაგრამ ადამიანებს ერთმანეთთან შეხვედრა, გართობა სურთ. მართალია, კინოთეატრები გვაქვს, სადაც ხალხი დადის, მაგრამ იქ რომ ცეკვა და სიმღერა დაიწყონ, ეს მარტო უხერხული კი არა, დანაშაულიც იქნება. ჩემი აზრით, აგიტატორები უნდა გახდნენ ლხინის, ზეიმის მოთავენი. ყველა სოფელს აქვს ბაღი, პარკი ან მოედანი. აქ შეიძლება ყოველკვირეობით იკრიბებოდნენ კოლმეურნეები და მართავდნენ შეჯიბრებას სპორტის სხვადასხვა სახეობაში, სიმღერებს, ცეკვა-თამაშს. მაშინ ახალგაზრდობა ეკლესიებისკენ აღარ წავა. დასვენებული მშრომელები უკეთ იშრომებენ.

აგიტატორებს დახმარებაც გვჭირდება, განსაკუთრებით კი მეთოდური. კარგი იქნება, თუ რესპუბლიკის დედაქალაქში და რაიონის ცენტრებში მოეწყობა აგიტატორთა გადასამზადებელი კურსები.

მ. ბაბლიაშვილი,
ყვარლის რაიონის სოფელ გრემის მ. გორკის სახელობის კოლმეურნეობის აგიტატორი.

პარტიული ქრონიკები

იმ დღეთა დიდება...

დუშეთი. (საკ. კორ.). რაიონის მშრომელები გულთბილად შეხვდნენ რევოლუციური მოძრაობის ვეტერანებს, რომლებიც დუშეთში ჩამოვიდნენ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური განათლების სახლისა და დუშეთის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მიერ მოწყობილ საღამოზე.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა შრომელთა დეპუტატების რაიონსაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ შ. მწიფურამ.

საქართველოს კომპარტიის მიერ განვლილი სახელოვანი გზის შესახებ მოხსენება გააკეთა პროფესორმა გ. ფაანიამ. საინტერესო მოგონებებით გამოვიდნენ ძველი რევოლუციონერები ს. ქაჯარაძე, დ. ლომაძე, გ. კაჭარავა, ვ. ნადარეიშვილი, შ. ბურდული.

შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს მეცნიერმა მუშაკებმა ი. კაჭარავამ, ა. აგლაძემ, ვ. ქარუმიძემ, ვ. ესვანჯიამ.

მშრომელები ეუფლებიან ძიმიას

ნაყოფიერად მუშაობს საზოგადოება „ცოდნის“ ახალქალაქის რაიონული განყოფილება. მის ლექტორთა ძალებით მიმდინარე წლის ოთ თვეში ახალქალაქის რაიონის კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებებში წაკითხულ იქნა 800-ზე მეტი ლექცია, აქედან მარტო სოფლის მეურნეობის ქიმიზაციისა და ინტენსიფიკაციის საკითხებს მიეძღვნა 200-ზე მეტი ლექცია.

ი. ყინწკალაძე,

სკოლა და ცხოვრება

მკითხველები გვწერენ

△ გორის საწარმოო სამმართველოს სოფლების — ტყვავის, მეჯვრისხევის, შინდისისა და დაბა ქარელის საშუალო სკოლებთან საზოგადოებრივ საწყისებზე შეიქმნა და მუშაობენ სასკოლათაშორისო პედაგოგიური კაბინეტები.

ნ. ჩუბინიძე.

△ ზნაურის რაიონის სოფელ ქსუისის საშუალო სკოლის სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე (გამგე თ. ჯავახიშვილი) ყოველდღიურად საქმიანობენ მოსწავლეები, სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე დაირგო 200 ძირი ვაშლის, 180 აბლის, 140 ქლიავის, 10 ძირი მსხლის ნამყენი, ნაკვეთს შემოურგეს 400 ძირი ჯონჯოლი, რომელიც დმანისის ტყიდან მოიტანეს მოსწავლეებმა.

ო. ცოტნიაშვილი.

△ მაიაკოვსკის რაიონის დიმის საშუალო სკოლის სასკოლო საწარმოო ბრიგადამ წელს გულმოდგინედ დაამუშავა ხასიმინდე ნაკვეთები, შეიტანა ორგანული სასუქები, დროულად გასხლა და გაიყვანა შპალერზე ვაზი, დაამზადა 7 ათასი ცალი ბოგო. ვაზის ძირების გამობარვა და რიგითაშორისი დამუშავება აგროტექნიკურ ვადებში ჩაატარა.

კ. შავდია.

△ ტყიბულის № 5 საშუალო სკოლის ერთი ოთახი უჭირავს მხარეთმცოდნეობის მუზეუმს, რომელშიც მრავალრიცხოვანი ექსპონატებია გამოფენილი. ისინი შეგროვებულია ამავე სკოლის ნორჩ ტურისტების მიერ.

ა. დიაკონიძე.

△ ხაშურის რაიონის ქვიშხეთის საშუალო სკოლის დირექტორმა გ. მანჩხაშვილმა, სასწავლო ნაწილის გამგემ ი. კაკანაძემ, მასწავლებლებმა ნ. გოგიბერიძემ, ა. ჭყოიძემ დაიწყეს ამ სკოლის მატიანეს შედგენა. მატიანეში უკვე შეტანილია ცნობები სკოლის დაარსებიდან დღემდე.

დ. ფარეშუზოვი.

სიგნალი

დიდი მუშებლობის ხარვეზები

„კომუნისტის“ საგუშაგოდან

დიდი გამოცოცხლებაა ახლა სინთეზური ბოჭკოს ქარხნის მშენებლობაზე. მძიმეწონიან ამწე მექანიზმებს, ადამიანების ნებას რომ ემორჩილებიან, სულ მაღლა ააქვთ სატიხრე კედლები, გადახურვის ფილები, კარკასები, რკინის არმატურა. ყოველ დილით ქარხნის დირექტორის კაბინეტში თავს იყრიან სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების ხელმძღვანელები, უბნის უფროსები, სამუშაოთა მწარმოებლები, დოკუმენტები, ქვემოკარადრე ორგანიზაციების წარმომადგენლები. განიხილავენ დარჩენილი მშენებლობის საკითხებს, ეკონიბენენ ხელისშემშლელ მიზეზებს, სახალხო ოპერატიულ გეგმებს.

ამჟერად მშენებლობა დღის წესრიგში დგას დამხმარე საამქროების საწყისი ქვაბოგურის, სამაცივრო კომპრესორის, ქიმიური კორპუსის, რეგენერაციის კორპუსის და სხვათა მშენებლობა. ამასთან ერთად ეახლოეს ხანებში უნდა ჩაბარდეს მთავარი კორპუსის კორდის განყოფილების პირველი რიგი. განსაკუთრებული ზრადებაა საწყის ქვესადგურზე. „ქაველექტრომონტაჟის“ სამმართველოს უბნის უფროსმა ი. მაკოტრჩენკომ გვიამბო, რომ ეს ობიექტი ჩაბარებულ უნდა იქნას იგისის პირველ დეკადაში. ამიტომ აქ შეადგინეს ხარვეზების გასწორების გრაფიკი და წარმატებითაც სრულებენ მას.

ფართო ფრონტით მიმდინარეობს შეწყვეტა მთავარ კორპუსზეც. მშენებლებს აქ ძირითადად დარჩათ საბოლოო გამოყენებითი სამუშაოები. გადამწყვეტი სიტყვა კი ახლა სამონტაჟო და ქვეკონტრაქტორ ორგანიზაციებს ეკუთვნით.

მიუხედავად მშენებლობის დაჩქარებულ-ლი ტემპებისა აქა იქ ვხედავთ სერიოზული ხასიათის ნაკლოვანებებს, ხელისშემშლელ მიზეზებს.

ვერ იქნა და ვერ მოგვარდა მშენებლობაზე ავტოფიცაციური მუშახელის გაჩრდილ საკითხი. ამას წინათ პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტმაც განიხილა ეს საკითხი და მიიღო სათანადო დადგენილება. ამ დადგენილებით ყველა სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციის დაევალა მუშახელის რიცხვის გადიდება. ვერ ეიტყვიო, რომ ამ დადგენილებას შედეგი არ მოჰყოლოდეს. მაგრამ მუშახელის ის რაოდენობა, რაც სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებმა მოიყვანეს დამატებით სამშენებლო მოედნებზე, სრულად ვერ დაინტერესებით როდი უბრუნდებიან წარმოებას. ისინი ვერ ურიგდებიან საკუთარი კოლექტივის, შრომითი საქმიანობის მოწყვეტას. პენსიაზე გასულ მშრომელები ხშირი სტუმრები არიან მშობლიური საწარმოებისა და დაწესებულებებისა. ისინი ფაქტიურ ცოდნასა და გამოცდილებას ხალისით გადასცემენ ახალგაზრდობას.

საგულისხმოა აგრეთვე წმინდა ფიზიოლოგიური მიზეზები. ექიმების დაკვირვებით, დაძაბული შრომიდან ერთბაშად სრულუფლებიანობასა და დასვენებაზე გადასვლა, ათეული წლობით მანძილზე შემუშავებული შრომისა და ცხოვრების რეჟიმის მკვეთრად შეცვლა ზოგჯერ არასასურველ გავლენას იხდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე. ამიტომ, ბუნებრივია, პენსიონერები ისწრაფვიან გახანგრძლივ მუშაობა.

ყოველივე ეს გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში „წარმოებაში მუშაობით პენსიონერთა მატერიალური დაინტერესების გადიდების შესახებ“.

ადგენილების შესაბამისად ამა წლის 1 აპრილიდან შემოღებულია წარმოებაში დასაქმებული პენსიონერებისათვის მოხუცებულობის პენსიის მიცემის ახალი წესი, რაც უთუოდ აამაღლებს მათს მატერიალურ დაინტერესებას წარმოებაში მუშაობით. ამ წესის თანახმად. სახალხო მეურნეობის რომელ დარგშიც უნდა მუშაობდეს პენსიონერი, მუშაა იგი თუ მოსამსახურე, გამომუშავებული ხელფასის გარდა მიიღებს დანიშნული პენსიის ნახევარს, მაგრამ არანაკლებს მოხუცებულობის პენსიის იმ მინიმალური ოდენობისა, რაც დაწესებულია სახელმწიფო პენსიების კანონით.

ტარასი ზაქარიას-ძე მელაძეს 30 წელიწადზე მეტ ხანს ითუშავა რკინიგზაზე, იყო გამოცდილი ზეინკალი. გადავიდა პენსიაზე, მაგრამ უსაქმობას ვერ შეეგუა, გამოცხადდა თბილისის ავრეშუმაქსოვა ფაბრიკაში და ითხოვა დამზმარე მუშად მიღება. იგი მიიღეს მუშა-მებადედ და ხელფასი დაუნიშნეს 55 მანეთის ოდენობით. მისი მოხუცებულობის პენსია კი 44 მანეთს უდრის.

ახალი წესის მიხედვით ხელფასის — 55 მანეთის გარდა მას ეკუთვნის მოხუცებულობის პენსიის 50 პროცენტი, ანუ 22 მანეთი. მაგრამ, რადგან 22 მანეთი მოხუცებულობის პენსიის მინიმუმზე 30 მანეთზე ნაკლებია, გარდა ხელფასისა, ტ. მელაძე მიიღებს მოხუცებულობის პენსიის მინიმუმს 30 მანეთს. ამგვარად მისი ხელფასი და პენსია ერთად შეადგენს 85 მანეთს.

ხელფასისა და მოხუცებულობის პენსიის 50 პროცენტის მიღება შეუძლია აგრეთვე იმ პენსიონერ ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, რომლებიც იმუშავებენ უშუალოდ მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობის, კავშირგაბმულობის და სხვა დარგების საწარმოებში. მაგრამ პენსია და ხელფასი ერთად არ უნდა აღემატებოდეს 200 მანეთს.

გამოცდილი კადრები სპირდებათ გათვლებისა და ანგარიშების დაცვის დაწესებულებებს. ექიმებთან, პედაგოგებთან ერთად მათ სპირდებათ აგრეთვე საშუალო და უმცროსი სამედიცინო პერსონალი — ექთნები, სანიტრები, ძიძები, რომლებიც უშუალოდ ემსახურებიან ავადმყოფებს და ბავშვებს საბავშვო დაწესებულებებში. ამ დარგში მუშაობის მსურველ პენსიონერებს უთუოდ წაახალისებს ის გარემოება, რომ ხელფასთან ერთად ისინი ყველა შემოხვევაში მიიღებენ მინიმალურ პენსიას. იგივე წესი ვრცელდება აფფთიაქის მუშაკებზე, აგრეთვე დახლის მუშაკებზე, ყველა თანრიგის გამყიდველებზე, დამტარებელ-გამყიდველებზე, სექციებისა და განყოფილებების გამგეებზე, ბრიგადირებზე, მზარეულებზე, ოფიციანტებზე და სხვ., მათ შორის იმ მზარეულებზეც, რომლებიც დასასვენებელ სახლებსა და სანატორიუმებში მუშაობენ.

ახალი წესი არ ვრცელდება იმ ინჟინერ-ტექნიკიურ მუშაკებზე, რომლებიც მუშაობენ რკინიგზათა სამმართველოებში, საავტომობილო და საქალაქო ტრანსპორტის სამმართველოებში, სახლთმოსამსახურეთა სამმართველოებში, სამოქალაქო საჰაერო ფლოტის ტერიტორიულ სამმართველოებში, აგრეთვე მშრომელთა იმ კატეგორიებზე, რომლებიც დასახელებული არ არიან

ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლების კრებული

ტოკიო, 20 მაისი. (საკდესი). გამომცემლობა „სიუნდაი“ შეუდგა ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლების კრებულის გამოცემას ხუთ ტომად. გამოცემაში შედის 1956-63 წლებში წარმოთქმული სიტყვები. უკვე გამოვიდა პირველი ტომი „სოციალიზმი და კომუნიზმი“.

მზადდება დასაბეჭდად და მალე გამოვა დანარჩენი ოთხი ტომი: „იმპერიალიზმი ხალხთა მტერია, მშვიდობის მტერია“, „რევოლუციური მუშაობა და კომუნისტური მოძრაობის შესახებ“, „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შესახებ“, „ომის თავიდან აცილება უპირველესი ამოცანაა“.

ინტერესთა ერთობა

მსოფლიოს გაზეთები ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტის შესახებ

ბერლინი. გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდს“ მოაყავს შინაარსი საბჭოთა მთავრობის მეთაურის გამოსვლისა პორტ-საიდში გამართულ მიტინგზე და ამასთან სათაურში ბაზგასმით აღნიშნავს, რომ ჩასაფუძვლად განწირულია ნატოს დიპლომატია, „პოლარისებთან“ დაკავშირებული. გაზეთი „ნოიე �ტის“ სათაურში ნათქვამია: „საბჭოთა კავშირი არაბებს ემხრობა“.

ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლიდან გაზეთები ბაზს უსვამენ ადგილებს, სადაც ნათქვამია, რომ საბჭოთა მთავრობა დიდ ლიმიტებებს ახორციელებს საერთაშორისო დაძაბულობის შემცირებისა და მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფისათვის, რომ საბჭოთა ადამიანები სოლიდარობას უწევენ აზიისა და აფრიკის ხალხთა ეროვნულ - განმათავისუფლებელ ბრძოლას, რომ გაფართოვდება ეკონომიკური ნაგები ქვეყნებს, რომლებიც აპირებენ სანაპირო ქვეყნების ხალხების დაუკიდებელად განალაგონ „პოლარისის“ რაკეტები აღმურვილი წყალქვეშა ნავები ხმელთაშუა ზღვაში.

ლონდონი. ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლამ პორტ-საიდში გამართულ მიტინგზე

ბულგარეთის მოსახლეობა

სოფია. ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო იუწყება, რომ 1964 წლის 1 იანვრისათვის ბულგარეთის მოსახლეობა შეადგენდა 8.111.132 კაცს, მათ შორის 4.051.406 ბავშვებსა და 4.059.726 ქალს. ქალაქად ცხოვრობდა 3.306.675 კაცი და სოფლად — 4.804.457 კაცი. სოფიისა და მისი გარეუბნების მოსახლეობა 1964 წლის 1 იანვრისათვის შეადგენდა 798.124 კაცს.

ბინძური ომისათვის

ვაშინგტონი, 20 მაისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატის საგარეო საქმეთა კომიტეტმა მოიწონა პრეზიდენტ ჯონსონის ინიციატივა იმის შესახებ, რომ დამატებით გამოიყოს 125 მილიონი დოლარი სამხრეთ ვიეტნამის ომისათვის.

საბჭოთა კინემატოგრაფიის უდიდესი წარმატება

ბონი, 20 მაისი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიის გაზეთი „ფრანკფურტერ ალგემაინე“ დღეს აქვეყნებს სტატიას, რომელშიც მაღალ შეფასებას აძლევს საბჭოთა ფილმ „ჰამლეტს“.

გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ჰამლეტის“ გადაღების განხორციელებამ საბჭოთა კინემატოგრაფიამ უდიდესი წარმატება მოიპოვა და კვლავ დადასტურა თავისი რეპუტაცია — ნამდვილად კლასიკური ხელოვნების შემქმნელისა.

ოროგრიც „ფრანკფურტერ ალგემაინე“ იუწყება, ფილმი „ჰამლეტი“ მარტო საბჭოთა საზოგადოებრიობისათვის როდია დიდი მოვლენა. ამასთან დაკავშირებით გაზეთი აღნიშნავს, თუ რა დიდი წარმატება ხვდა წილად ამ ფილმის საცდელ ჩვენებას ლონდონში.

დოლარული დუელი

ნიუ-იორკი, 20 მაისი. საკდესის კორესპონდენტი დ. პონომარიოვი იტყობინება: ორეგონის შტატის პირველად არჩევნებმი ნელსონ როკფელერის გამარჯვების შემდეგ რესპუბლიკელი პარტიის ხელმძღვანელობამ კალიფორნიის შტატს მიაპყრო თვალი. ეს უნდა გაიმართოს პირველადი არჩევნები, რომელშიც ოფიციალურად მოწოდებულ მეიღებს მხოლოდ ორი ადამიანი — გოლდუოტერი, უკიდუესი მემარჯვენეთა ლიდერი, და როკფელერი, რომელსაც ლიბერალად თვლიდა თავი, კალიფორნიის 86 დელეგატის ხმა ორსავე მნიშვნელოვან გამარჯვებას მოუტანს გოლდუოტერს, ან გაადიდებს როკფელერის შანსებს, რომ რესპუბლიკური პარტიის იგი დაასახელოს ერთ-ერთ ადიდებულად პრეზიდენტის პოსტზე. ოფიციალურები, რომლებიც წინასაარჩევნო ბრძოლას ამუქებენ, ახლა ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ საშიშია გოლდუოტერის გამარჯვება კალიფორნიაში, და აშკარად ამბობენ, რომ ეს ნიშნავს ეროვნულობა იქნება რესპუბლიკური პარტიისათვის. მიმომხილველები აღნიშნავენ ან ეხებიან ორივე კანდიდატის პოლიტიკურ პლატფორმებს, ოგალო ყურადღებას უთმობენ მხოლოდ იმას, რომ დაიცვან ღირსება პარტიისა, რომელიც თითქოს ზომიერ და ლიბერალურ პოზიციებს ადგას, თვითონ კანდიდატები კი, როგორც გოლდუოტერი, ისე როკფელერი, რომლებიც ორივ ოუ ძალიან ენერგიულ ადამიანებია, ეს ბრძოლა ამ ფილმის საცდელ ჩვენებას ლონდონში.

ბულგარეთის ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ. ს. ხრუშჩოვი — ბაღუმრაზე იაპონიაში

ხიროსიმა, 21 მაისი. (საკდესის სპეც. კორ.). გუშინ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია ა. ი. მიკოიანის მეთაურობით ეწვია ხიროსიმის საპრეფექტურო სამმართველოს. მას შეხვდნენ ხიროსიმის პრეფექტურის გუბერნატორი ი. ნაგასო, საპრეფექტურო კრების თავმჯდომარე ს. ხიიამა, საპრეფექტურო კრების დეპუტატები. გუბერნატორი გულთბილად მიესალმა დელეგაციას.

ა. ი. მიკოიანმა თქვა, რომ დიდად აფასებს ხიროსიმის მცხოვრებთა და ხელისუფალთა ბრძოლას მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის. მან ურჩია ხიროსიმელებს განაგრძარონ კავშირურთიერთობა ეოლგოგრადთან — ქალაქთან, რომელსაც ბევრი რამ აქვს საერთო ხიროსიმასთან.

შემდეგ დელეგაცია წავიდა მერიის შენობაში.

მერიაში ყოფნის შემდეგ დელეგაცია გაემართა მშვიდობის პარკში, აქ ატომური დაბომბვის მსხვერპლთა ძეგლთან ა. ი. მიკოიანმა და სსრ კავშირის ელჩმა იაპონიაში ვ. მ. ვინოგრადოვმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის სახელით გვირგვინი შეამკეს ძეგლი.

ნაშუადღევს დელეგაცია გაეცნო ხიროსიმის სამრეწველო საწარმოებს.

ხიროსიმა, 21 მაისი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტი ა. ბირიუკოვი იტყობინება:

დღეს დილით უმაღლესი საბჭოს დელეგაცია გაეცნო მეზოსტრობის განვითარების ერთ-ერთი ახალი პროგრესული მიმართულების — ჰიდროპონიკის საადგურს, რომელიც ხიროსიმის მიდამოებში მდებარეობს. ამის შემდეგ დელეგაცია იყო მიპატიჟული კუნძულზე, რომელიც განთქმულია პეიზაჟის სილამაზითა და ტაძრით. შემდეგ დელეგაცია მატარებლით წავიდა ქალაქ ფუკუოკაში (კიუსიუს კუნძული). ხიროსიმის ვაგზალში საბჭოთა პარლამენტარები გულთბილად გაეცალნენ ხიროსიმის პრეფექტურის გუბერნატორმა ბატონმა ნაგასომ, საპრეფექტო და მუნიციპალური კრების თავმჯდომარეებმა და დეპუტატებმა, ქალაქის მცხოვრებლებმა.

ფუკუოკა, 21 მაისი. (საკდესი). დღეს საბჭოთა პარლამენტარები ჩავიდნენ ქალაქ ფუკუოკაში — ფუკუოკის პრეფექტურის ადმინისტრაციულ ცენტრში, გაგზავნეს დელეგაციას შეხვდნენ ფუკუოკის პრეფექტურის გუბერნატორი ბატონი ტ. უძაკი, საპრეფექტურო კრების და მუნიციპალური კრების თავმჯდომარეები, აგრეთვე ქალაქის ბჭოგადოებრიობის წარმომადგენლები.

„თავისუფალი სამუშაროს“ როგორიც იგი არის

ფლიტ-სტრიტზე — ლონდონის ხალხმრავალ ქუჩაზე ბუკის კვნესა ისმის, „ბიელი ეფსპრესის“ პრესფოტოლი შენობასთან ინვალიდის პატარა ურიკა დგას. კარგად მოჩანს ტროტუარზე უხერხულად მდგომი ორი ხელოვნური ფეხი. ურიკაზე მიმაგრებული პლაკატები მოგვითხრობენ ნაღვლიან ამბავს: „სამუშაოს არ მაძლევენ“, „ომის უფეხო ინვალიდი მართლმსაჯულებას ეძებს“, „არმიაში ვმსახურობდი 1923-46 წლებში“, „ახლა პოლიციელ მაშინებს“, „ბრიტანეთის ლეგიონი შეურაცხყოფას მაყენებს“, „მომატყუა და გამძარცვა ადვოკატმა“.

56 წლის უილიამ ბლეიკს ინვალიდის მცირე პენსია არ ჰყოფნის. სამუშაოს ვერ უშოვნია. ვინ გააჩერებს სამსახურში უფეხოს, როცა ინგლისში ათეულ ათასობით ჯანსაღი და ახალგაზრდა უმუშევრად დგიან.

თითქმის 20 წელიწადია ბლეიკი სიმართლეს ეძებს.

— ისეთ მდგომარეობაში, როგორშიც მე ვარ, — ამბობს ბლეიკი, — ათასობით სხვა ადამიანია, მაგრამ ყველა ვერ ბედავს აშკარად განაცხადოს ეს.

ხალხმრავალ ქუჩაზე ბლეიკის გამორნა ჩვეულებრივად პოლიციასთან მორიგ კონფლიქტს იწვევს.

ფოტო ე. კორეევისა (საკდესის ფოტოკორესპონდენტი).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური პრემიების კომიტეტში

მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური პრემიების კომიტეტმა დაიწყო ნაშრომების მიღება 1965 წლის ლენინური პრემიების მოსაპოვებლად.

იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს საზოგადოებრიობის ფართო მონაწილეობა ნაშრომების განხილვაში, რომლებიც წარდგენილია ლენინური პრემიების მოსაპოვებლად, კომიტეტმა დადგინა ნაშრომების წარმოდგენის ვადა არაუგვიანეს 15 ოქტომბრისა ყოველწლიურად.

კომიტეტი დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს აცნობებს, რომ ლენინური პრემიების მოსაპოვებლად ნაშრომთა წარდგენის გადაწყვეტილების მიღების წინ საჭიროა წინასწარ მოეწყოს ნაშრომთა ფართო საზოგადოებრივი განხილვა და ავტორთა კოლექტივის შემადგენლობაში თვითეული კანდიდატის შემოქმედებითი წვლილის ყოველმხრივი განხილვა.

კომიტეტი ურჩევს იმ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც წარადგენენ ნაშრომს ლენინური პრემიის მოსაპოვებლად, ფართოდ გააშუქონ საზოგადოებრივობის გასაცნობად პრესაში ნაშრომის შინაარსი, მისი თვალსაჩინო მნიშვნელობა და პრინციპული სიახლე, აგრეთვე ავტორთა შემოქმედებითი წვლილი.

ამასთან დაკავშირებით მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური პრემიების კომიტეტი სთხოვს ორგანიზაციებს, დაწესებულებებისა და სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებრიობის ხელმძღვანელებს უახლოეს დროში დაიწყონ ფართო საზოგადოებრივი განხილვა და წარდგენა ყველაზე თვალსაჩინო ნაშრომებისა და მათი ავტორთა კოლექტივებისა, და ყველა მასალა გაუგზავნონ კომიტეტს მათი გაფორმებისათვისაც.

ყველა წარდგენებას, რომელიც კომიტეტში მოვა 1964 წლის 15 ოქტომბრის შემდეგ, განიხილავენ შემდეგ სესიაში იმ ნაშრომებთან ერთად, რომლებსაც წარადგენენ 1966 წლის ლენინური პრემიების მოსაპოვებლად.

ლენინური პრემიების მოსაპოვებლად ნაშრომთა წარდგენის მასალები, აგრეთვე ყველა საკითხი, რომელიც დაკავშირებულია მათს გაფორმებასთან, უნდა გაიგზავნოს მისამართით: მოსკოვი, ი-51, ნეგლინაია ქუჩა, სახლი 29/14, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური პრემიების კომიტეტი.

გაიხსნა პავილიონი „საბჭოთა პრესა“

19 მაისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ მ. კ. რომანოვმა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე გახსნა პავილიონი „საბჭოთა პრესა“. მოკლე შესავალ სიტყვაში მან ილაპარაკა იმაზე, თუ რა დიდად ზრუნავენ პარტია და მთავრობა ჩვენი პრესისათვის.

პავილიონის ორ დარბაზში გაიხსნა თემატური გამოფენა „საბჭოთა სახალხო პრესა“.

პავილიონის საზეიმო გახსნას დასწრნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე მ. ა. ხარლამოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე კ. მ. ბოგოლუბოვი, საგენტო „სახალი ამბების“ გამგეობის თავმჯდომარე ბ. ს. ბურკოვი, სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის მდივანი პ. პ. ეროფეევი, გაზეთების „პრავდისა“ და „იზვესტიის“, ჟურნალების, გამომცემლობების, საკდესისა და საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ოფიციალური წარმომადგენლები. (საკდესი).



ბანდიჯები

ურუგვაი სანქციების წინააღმდეგია

მონტევიდეო, 21 მაისი. (საკდესი). ურუგვაი არ დაუჭერს მხარს სანქციებს კუბის წინააღმდეგ, განუცხადა ჟურნალისტებს ურუგვაის საგარეო საქმეთა მინისტრმა სორილია დე სან-მარტინმა მთავრობის ეროვნული საბჭოს სხდომის დამთავრების შემდეგ. „ჯერჯერობით არა მაქვს ცნობები, რომ გაიმართება ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი, თქვა მინისტრმა. მაგრამ, თუ იგი გაიმართა, ურუგვაი დაიცავს ტრადიციულ პოზიციას. ურუგვაი გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ „ჯუბას შეუფარონ ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის წესდების მეორე მუხლი. სხვანაირად რომ ვთქვათ, ჩვენ სანქციების წინააღმდეგი ვართ. ამ მხრივ ჩვენი პოზიცია ემთხვევა არგენტინის პოზიციას“.

სპივენსონი გამოიძახეს...

ნიუ-იორკი, 20 მაისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა დინ რასკმა დღეს სასწრაფოდ გამოიძახა ამერიკის მუდმივი წარმომადგენელი გაეროთაანებული ერების ორგანიზაციაში ედლაი სტივენსონი, რომელიც ევროპაში მიგზავრობს. როგორც საგენტოები აღნიშნავენ, რასაკვირველია ამ სპეციალურ პრეზიდენტ ჯონსონს მოეთათბირა, რის შემდეგ მიიღეს გადაწყვეტილება შეეწყვიტათ სტივენსონის ყოფნა ინგლისში, სადაც იგი ამ კვირის დამლევამდე უნდა დარჩენილიყო. ევროპიდან სტივენსონის სასწრაფო დაბრუნებას კომენტატორები უკავშირებენ მდგომარეობის გამწვავებას ლაოსში.



ინგლისის ეკონომიური მდგომარეობა საზოგადოებრიობის სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. პრესა აქვეყნებს ინფორმაციას უმუშევრობაზე, ბინების ნაკლებობაზე, სოლების ცუდ მდგომარეობაზე.

„ეკონომიკა არასოდეს არ ყოფილა უფრო მტკიცე“ — ეს სიტყვები, რომლებიც პრემიერ-მინისტრ დუგლას ჰიუმს ეკუთვნის, ირონიულად აქვს წარწერილი გაზეთ „ობსერვერში“ გამოქვეყნებულ კარიკატურას. როგორც ხედავთ, მკითხველო, ბიჭგები ძალიან სუსტია.

კუბელ ემიგრანტ კონტრრევოლუციონერთა ხრიკები

□

ვიღნენ და უკან გაბრუნდნენ კუბელ ემიგრანტთა პატარა გემები ხალხის გადასაყენებად და იარაღის გადასაზიდად.

სახელმწიფო დეპარტამენტს არაერთხელ უარუყვია ამერიკის შეერთებული შტატების რაიმე მონაწილეობა ემიგრანტების თავდასხმაში კუბაზე, აღნიშნავს დღეს გაზეთი „ვაშინგტონ პოსტ ენდ ტაიმს ჰერალდში“ (ცნობილი ამერიკული მიმომხილველი მარკის რაიდლი, მაგრამ, წერს იგი, „ამ განცხადებათა სისწორე საეჭვოა, თუ მხედველობაში მივიღებთ ჯონსონის გამოცდილებას, ოდესაც ადგილობრივი უარყოფა ... ემდეგში აღმოჩნდებოდა ხელოვნური“.

გაზეთმა „ვაშინგტონ პოსტ ენდ ტაიმს ჰერალდმა“ 19 მაისს გამოაქვეყნა მკითხველის მერი ფილიპსის („ნიუ-იორკ ტაიმს“ შტატი) წერილი, რომელიც იმოწმებს კუბელ ემიგრანტთა განცხადებას, იმის შესახებ, რომ „ჯონსონის მთავრობის უმაღლესმა ოფიციალურმა პირებმა, ეკრძოდ ცენტრალური დაზვერვა სამმართველოს წარმომადგენლებმა“ აღუთქვეს „კუბის რევოლუციური ხუნტის ხელმძღვანელს“ მანუელ რეის, რომ „ამერიკის შეერთებულ შტატების საბჭოდრო-საზღვაო ფლოტ და სანაპირო თავდაცვა არ შეუშლიანელ „იდამიანთა და საჭურველის შეგზავნის“. უფრო მეტიც, აღნიშნავს ეს ოფიციალური „კუბის რევოლუციურმა ხუნტამ“ სთხოვა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას მისცეს მას რამდენიმე მილიონი დოლარი, მსუბუქი იარაღი და კავშირგაბმულობის საშუალებანი, აგრეთვე ფაზეერული მონაცემები, აღებული ამერიკის „უ-2“ თვითმფრინავების კუბაში ფრენის შედეგად.

ამერიკის შეერთებულ შტატების კანონმდებლობით აკრძალულია, რომ რაიმე ჯგუფებმა ამერიკის ტერიტორიიდან მოახდინონ შეიარაღებული ლი თავდასხმა სხვა ქვეყნებზე. ამ კანონების შესაბამისად კუბელ მოაკრობამ 1963 წელს აღკვეთა შეერთებულ შტატებში მყოფი კუბის მოწინააღმდეგე ემიგრანტთა ორგანიზაციების თავდასხმა კუბის ნავსადგურებსა და საბჭოთა გემებზე, რომლებიც იქ იყვნენ.

ამჟამად კუბის ემიგრანტთა ბანდების საქმიანობას არავინ უწევს „წინააღმდეგობას. მთელი რიგი სენატორები თავიანთ გამოსვლებში მხარს უჭერენ ყაჩაღობის პოლიტიკას კუბის მიმართ. სენატორმა სმაზერსმა (ფლორიდის შტატი) დღეს სენატში განაცხადა, რომ დიდი დრო ბოლო მოეღოს კასტროს კომუნისტს და ჩაეცეს სასიკვდილო ლახვარი, რომელიც სამუდამოდ განდევნის მას დასავლეთ ნახევარსფეროდან. 14 მაისს ამერიკის შეერთებული შტატების სენატში გამოვიდა სენატორი გრიფინგი, რომელმაც „წარმატება“ ეუსურვა კუბელ ბანდიტებს და მოუწოდა შეეთვალთვალა შეერთებული შტატების მთავრობას არ შეუშლოს ხელი მათ დივერსიულ გამოხდომებს.

ამერიკის პრესა და დეპეშათა საგენტოები სიხარულით ხვდებიან მაიამიდან მიღებულ ახალ ამბებს, სადაც, სარგებლობენ რა ამერიკელ ხელისუფალთა სტუმართმოყვარეობით, კუბელი კონტრრევოლუციონერები ახალ პროვოკაციებს ამზადებენ თავისუფლების კუნძულების წინააღმდეგ. მყეიოლა სათაურები ნიუიორკის გაზეთების ფურცლებს აკაშენებენ კონტრრევოლუციონერების დაიწყონ საომარი მოქმედება, მოაგონებენ მეთაურებს, რომ მათ პირობა დადეს 20 მაისს დაიწყონ ბრძოლა ფიდელ კასტროს რეჟიმის წინააღმდეგ. კუბის კონტრრევოლუციონერი ემიგრანტების ორმა ბანდამ გუშინ მაიამიში გაგზავნა ეგრეთწოდებული დეკლარაციები ფიდელ კასტროს მთავრობისათვის ომის გამოცხადების შესახებ. ერთ მათგანს ხელს აწერდა ელენა გუტიერეს მენოო, მეორეს — 14 მეთაური „კუბის რევოლუციური ხუნტისა“, რომელსაც მეთაურობს საკმაოდ ცნობილი მანუელ რეი.

ქვეშის ქარიშხალი

დელი, 21 მაისი. (საკდესი). წუხელ დელის გადაუარა ძლიერმა ქვეშის ქარიშხალმა. ქარის სიჩქარე საათში 100 კილომეტრს აღწევდა. ქალაქის ქუჩები ქვეშის სქელი ფენით დაიფარა. ზოგან ფესვებიანად ამოთხრილმა ხეებმა გზა გადაუღობეს ტრანსპორტს. დედაქალაქის ბევრ რაიონში დაზიანებულია ელექტროგადაცემათა ხაზი და დარღვეულია წყლით მომარაგება. ელექტრობაზის დაზიანებამ ქალაქში ხანძარი გამოიწვია.

ბაღლი იდეოლოგისა და ოსტატოგისათვის

ფოტოკორესპონდენტთა სრულიად საკავშირო შემოქმედებითი სემინარი

მოსკოვი, 20 მაისი. (საკდესის კორ.). ჩვენი ქვეყნის ფოტოკორესპონდენტები დღეს შეიკრიბნენ სრულიად საკავშირო შემოქმედებითის სემინარზე, რომელიც მოიწვია სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირმა. საგულისხმოა, რომ ეს სემინარი მიმდინარეობს მანეჟის დარბაზებში, სადაც განლაგებულია მეხუთე ფოტოგამოფენა „შვიდწლედი მოქმედებს“. სწორედ ამ გამოფენის მასალების გარშემო გაიმართება საუბარი ფოტოსაქმის ხელოვნებათა ძნელი, მოუფლიდნელობით სავსე მუშაობის შესახებ.

— თვით ეს გამოფენა, რომელიც მასალა იქნება ჩვენი შეხვედრისათვის, — ოსტატობის შეასახებავი სკოლაა, თქვა სემინარის გახსნაზე სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის მდივანმა ბ. ბურკოვმა. — მისი ექსპოზიცია ყველაზე უკეთ ცხადყოფს, რომ დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა ეპოქა, როცა ფოტოსაქმის ოსტატები არ მიიჩნევდნენ ჟურნალისტებად. ახლა ყველასათვის ცხადია, ყველასთვის ვაცაგებია მათი როლი ჩვენს პრესაში. ამიტომ ჩვენ ყოველგვარი შეღავათის მიუცემლად ვლაპარაკობთ ყველაზე მთავარზე — ფოტორეპორტიორთა იდეურობისა და ოსტატობის შესახებ.

იმ ცვლილებებზე, რომლებიც დამახასიათებელია ფოტოოსტატების შემოქმედებისათვის ვის ხუთი წლის მანძილზე, რაც გავიდა პირველი სრულიად საკავშირო გამოფენის შემდეგ, ფოტოჟურნალისტების ამოცანებზე საკავშირო ტელევიზიის ფოტოკორესპონდენტ ალ. ალექსეევი, ფოტოჟურნალისტიკის ზრდასა და განვითარებას. როგორია მეხუთე ექსპოზიციის — „შვიდწლედი მოქმედების“ ძირითადი, დამახასიათებელი ნიშნები? მეტი წილი ნაშრომებისა მოგვაწოდა მარტო ფოტოსაქმის ოსტატებმა. ყველა ისინი გამოჩენილი ოსტატორის ავტორის ეზრით, გრძნობით, ხედვით.

სემინარის მსმენელები, რომელშიც მონაწილეობას 400 კაცი, მოისმენენ მოხსენებებს ნ. კუზოკანისა — „ფოტოინფორმაცია გაზეთში“, ლ. ეოლკოვ-ლანტოვისა — „თანამედროვეს პორტრეტი“, ე. რიაბჩიკოვისა — „რეპორტაჟი ჟურნალისტიკის წამყვანი ჟანრია“, ნ. დერბინსკისა — „ოსტატობა და ხელოსნობა ფოტოხელოვნებაში“ და სხვ., აგრეთვე გაუზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას.

როგორ იყო ლიკვიდირებული გერავშანის გვავი

დაბა ანინის რაიონში დაანგლეფილი ორ კვირის წარმოებდა გარანგლეფული სამუშაოები მთის ზვავის შედეგების ლიკვიდაციისათვის, რამაც გზა გადაუღობა მდინარე ზერავშანს. იმაზე, თუ როგორ იქნა თავიდან აცილებული სტიქიური უბედურება, 20 მაისს საბჭოთა და უცხოელ ჟურნალისტებს უამბო აკადემიკოსმა ე. კ. ფეოდოროვმა. იგი ხელმძღვანელობდა სპეციალისტთა დიდ ჯგუფს, რომლებიც მონაწილეობდნენ მთის მეწყერთან ბრძოლაში. პრესკონფერენციაზე გამომართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტში.

პრეს-კონფერენცია საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტებისათვის

სულ ცოტა 25 მილიონი კუბური მეტრი მთის ქანი ჩამოწვავდა ზერავშანში და გზა გადაუღობა მდინარეს. წარმოიშვა უზარმაზარი ტბა, რომელსაც განუწყვეტლივ ემატებოდა წყალი. წყლის სწრაფი მატება და მეწყერის უეცარი წალეკვის საფრთხე იმუქრებოდა კატასტროფით. მაგრამ სასწრაფო ღონისძიებების შედეგად თავიდან იქნა აცილებული საფრთხე.

აკადემიკოსმა ე. კ. ფეოდოროვმა ხაზი გაუსვა, რომ ზერავშანის მეწყერის ლიკვიდაციის დროს არცერთი მსხვერპლი არ ყოფილა, თავდადებულად მუშაობდნენ მებულდოზერეები, მეომრები და ახლომდებარე სოფლების ორი ათასამდე კოლმეურნე. წარმომქმნილი ტბიდან წყლის გადასაგდებად ზვიდ დღე-ღამეში გათხარეს ხელოვნური არხი თითქმის კილომეტრი სიგრძისა, რომლის სიღრმე ცალკეულ ადგილებში 80 მეტრს აღწევს.

ბრძოლა სტიქიასთან ზერავშანზე გამარჯვებით დამთავრდა საბჭოთა ადამიანების მამაცობისა და ორგანიზებულობის, გაგებული საინჟინრო ჩანფიქრის შედეგად.

ჟურნალისტებმა აკადემიკოს ე. კ. ფეოდოროვს ბევრი შეკითხვა მისცეს. (საკდესი).

ინგლისელ ბანდიტებს ... (ბოლო)

ბეირუთი, ლიბანის გაზეთები ბევრ დაწვრილებით ცნობას აქვეყნებენ ნ. ს. ხრუშჩოვის მოგზაურობის შესახებ არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში. გაზეთ „ად-დუნია — ალ-ჯარიდას“ მოაყავს ლიბანის ეროვნი პრემიერ-მინისტრის რაშიდ კარამესა და სოციალისტური პროგრესული პარტიის თავმჯდომარის კამალ ჯუმბლატის გამოთქვამები, რომლებმაც დიდი მადლობა უძღვნეს საბჭოთა მთავრობის მეთაურს იმისათვის, რომ მას ესმის ეროვნულ ინტერესებს, არაბებს, განაცხადა რაშიდ კარამემ, მუდამ ეხსომებათ თავიანთი მეგობარი, საბჭოთა კავშირი, რომელმაც გულწრფელი დახმარება გაუწია მათ კოლონიალიზმისა და აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში. ჩვენ მივეხალმებით თანამშრომლობას, რომელსაც საფუძვლად უდევს ნებაყოფლობისა და ინტერესთა ერთობის პრინციპები.

კამალ ჯუმბლატმა თქვა, რომ არაბ ხალხთა საქმის დიდი მხარდამჭერია ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტი არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში და მისი დიდმნიშვნელოვანი განცხადებანი არაბთა კანონიერი მოთხოვნების მხარდასაჭერად მათ მიწაწყალზე ინგლისის სამხედრო ბაზების ლიკვიდაციის შესახებ. (საკდესი).

საბჭოთა კინემატოგრაფიის უდიდესი წარმატება

ბონი, 20 მაისი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიის გაზეთი „ფრანკფურტერ ალგემაინე“ დღეს აქვეყნებს სტატიას, რომელშიც მაღალ შეფასებას აძლევს საბჭოთა ფილმ „ჰამლეტს“.

გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ჰამლეტის“ გადაღების განხორციელებამ საბჭოთა კინემატოგრაფიამ უდიდესი წარმატება მოიპოვა და კვლავ დადასტურა თავისი რეპუტაცია — ნამდვილად კლასიკური ხელოვნების შემქმნელისა.

ოროგრიც „ფრანკფურტერ ალგემაინე“ იუწყება, ფილმი „ჰამლეტი“ მარტო საბჭოთა საზოგადოებრიობისათვის როდია დიდი მოვლენა. ამასთან დაკავშირებით გაზეთი აღნიშნავს, თუ რა დიდი წარმატება ხვდა წილად ამ ფილმის საცდელ ჩვენებას ლონდონში.

თბილისის რინგზე

გუშინ ჩვენი ქვეყნის ოთხ ქალაქში — მინსკში, თბილისში, ალმა-ატასა და ნოგოსიბირსკში დაიწყო კრივში საბჭოთა კავშირის პირადი პირველობის ზონალური შეხვედრები, რომლებშიც 320 სპორტსმენი მონაწილეობს.

თბილისის ჯგუფში გუშინ გაიმართა ხუთი წონითი კატეგორიის მოკრივეთა შეხვედრები. უმჩატეს წონაში ხ. ქიქავამ აქტიურად დაიწყო ბრძოლა მოსკოველ ს. ოკატოვთან, მაგრამ შეხვედრის დასკვნითი ნაწილი ფაქტიურად ჩაატარა და დამარცხდა. ჩვენი რესპუბლიკის მეორე წარმომადგენლის გ. ვარდანიანის (მსუბუქი წონა) უპირატესობა აშკარად იგრძნობოდა ვ. როგოვთან (ყაზანი) შეხვედრაში. მესაზე რაუნდში მსაჯებმა ბრძოლა შეწყვიტეს და გამარჯვება ვარდანიანს მიაკუთვნეს.

მეორე ქვესაშუალო წონის მოკრივეების ზ. მაკაკარიანის (ქუთაისი) და ა. შულგას (ლვოვი) ბრძოლა დასაწყისში უფერული იყო. შემდეგ ქართველმა სპორტსმენმა რამდენიმე კარგი შეტევა განახორციელა და გაიმარჯვა.

ასპარეზობა 24 მაისამდე გაგრძელდება.

ნ. ფოფხაძე.

3. სმისლოვი — ლიდერი

ამსტერდამში გრძელდება ფიდეს მეექვსე საზონთაშორისო ტურნირი ჭადრაკში. გუშინ გაიმართა მეორე ტური.

უველაზე ეფექტური პარტია-ტალის პარტია იყო. ტალი შავებთ არ მორიდებია გართულებებს და ფიგურებს სწირავდა მეტოქეს. ბოლოს საქმეში ციაფნოტი ჩაერია. მეექვსე ქიმით ფიქსირებულ იქნა ყაიმი.

მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ს. სმისლოვმა დაამარცხა დარგა და ლიდერი გახდა. სპასკიმ მოუგო ტრინოვს. ტენენბრონტენინის პარტია გაფიდო.

ქვლავ წარუმატებლობა

გუშინ მოსკოვში შედგა საკავშირო პირველობის მორიგი ტურის მატჩები წყალბურთში.

მინდლისის დინამოელებმა ქვლავ წარუმატებლად გამოვიდნენ ამერიკელ მათ წააგეს შეხვედრა მოსკოვის „ტორპედოსთან“ 3:4. სსრ კავშირის ჩემპიონმა მოსკოვის „დინამომ“ დაამარცხა ბაქოს კკფ-ს გუნდი 2:. ლიდერების ცსკა-სა და მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდის მატჩის შედეგი — 2:2.

ნონამ პირველობა მაინაღდა

გუშინ სოხუმის ქალთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე გაიმართა მეცხრე ტური.

გაფრინდგაშვილმა შავებით კელერგინმანთან პარტიაში 34-ე სვლაზე ეფექტური გამარჯვება მოიპოვა და პირველი ადგილი გაინაღდა. ჩაიკოვსკაიას უკეთესი პოზიცია ჰქონდა ალექსანდრიას წინააღმდეგ, მაგრამ შემდეგ არაზუსტად ითამაშა და დამარცხდა. თეოდორესკუმ მოუგო

ეროვნულად, საკავშიროდ, საერთაშორისოდ!

ცნობათა კუთხე

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი პოლიტექნიკური ინსტიტუტი

◊აცხადებს სტუდენტთა მიღებას 1964-65◊ სასწავლო წლისათვის შემდეგ ფაკულტეტებზე და სპეციალობებზე

I. წარმოებისაგან მოწყვეტით

სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი

1. ნავთობისა და აირის საბადოთა გეოლოგია და დაზვერვა (რუსული სექტორი), 2. ჰიდროგეოლოგია და საინჟინრო გეოლოგია (ქართული სექტორი), 3. მარგი წიაღისეულის საბადოთა მიწისქვეშა დამუშავების ტექნოლოგია და კომპლექსური მექანიზაცია (ქართული სექტორი), 4. მარგი წიაღისეულის გამდიდრება (ქართული სექტორი), 5. სამთო სამუშაოთა ელექტროფიკაცია და ავტომატიზაცია (ქართული სექტორი), 6. სამთო მანქანები და კომპლექსები (ქართული სექტორი).

ენერგეტიკული ფაკულტეტი

1. ელექტრული სადგურები (ქართული სექტორი), 2. სამრეწველო საწარმოთა და ქალაქების ელექტრომომარაგება (რუსული სექტორი), 3. სამრეწველო თბოენერგეტიკა (ქართული სექტორი), 4. ელექტროამძრავი და სამრეწველო დანადგართა ავტომატიზაცია (ქართული სექტორი).

მეტალურგიული ფაკულტეტი (ქართული სექტორი)

1. შავი ლითონების მეტალურგია, 2. ლითონთმცოდნეობა, ლითონთა თერმული დამუშავების მოწყობილობა და ტექნოლოგია, 3. საშემდღუღებლო წარმოების მოწყობილობა და ტექნოლოგია.

მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი

1. მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია, ლითონსაჭრელი ჩარხები და იარაღები (ქართული და რუსული სექტორები), 2. ავტომობილები და ტრაქტორები (ქართული სექტორი), 3. კვები წარმოებათა მანქანები და აპარატები (ქართული სექტორი).

ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტები

1. ელექტრული მანქანები და აპარატები (ქართული სექტორი), 2. ავტომატიკა და ტელემექანიკა (ქართული და რუსული სექტორები), 3. მათემატიკური და საანგარიშო-ამოსახსნელი ხელსაწყოები და მოწყობილობანი (ქართული და რუსული სექტორები), 4. ელექტროაკუსტიკა და ულტრაბგერითი ტექნიკა (ქართული სექტორი), 5. სამრეწველო ელექტრონიკა (ქართული სექტორი), 6. რადიოტექნიკა (ქართული და რუსული სექტორები).

ქიმიური და კვების ტექნოლოგიის ფაკულტეტი

1. ელექტროქიმიურ წარმოებათა ტექნოლოგია (რუსული სექტორი), 2. მინისა და სიტალების ქიმიური ტექნოლოგია (ქართული სექტორი), 3. ძირითადი ორგანული და ნავთობქიმიური სინთეზის ტექნოლოგია (ქართული სექტორი), 4. კონსერვირების ტექნოლოგია (ქართული სექტორი).

მსუბუქი მრეწველობის ფაკულტეტი (ქართული სექტორი)

1. მერქნის მექანიკური ტექნოლოგია, 2. ბოკოვან მასალათა მექანიკური ტექნოლოგია, 3. ქიმიური ბოკოების ტექნოლოგია.

სამშენებლო ფაკულტეტი

1. არქიტექტურა (ქართული სექტორი), 2. სამრეწველო და სამოქალაქო შენებლობა (ქართული სექტორი), 3. სამდინარო ნაგებობათა და ჰიდროელექტროსადგურების ჰიდროტექნიკური შენებლობა (ქართული და რუსული სექტორები), 4. თბოაირმომარაგება და ვენტილაცია (ქართული სექტორი). 5. წყალმომარაგება და კანალიზაცია (ქართული სექტორი).

სატრანსპორტო ფაკულტეტი

1. ვაგონთმშენებლობა და სავაგონო მეურნეობა (ქართული სექტორი), 2. ელექტრული წევა და წევითი დანადგარების ავტომატიზაცია (ქართული და რუსული სექტორები), 3. გზების, ხიდების და აეროპორტების მშენებლობა (ქართული სექტორი), 4. რკინიგზების ექსპლოატაცია (ქართული სექტორი), 5. საავტომობილო ტრანსპორტი (ქართული სექტორი).

II. წარმოებისაგან მოუწყვეტელად

თბილისის საღამოს სწავლების ფაკულტეტი

(თბილისი, ლენინის, 64)

1. მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია, ლითონსაჭრელი ჩარხები და იარაღები (ქართული და რუსული სექტორები), 2. მათემატიკური და საანგარიშო-ამოსახსნელი ხელსაწყოები და მოწყობილობანი (ქართული სექტორი), 3. ავტომატიკა, ტელემექანიკა და კავშირგაბმულობა რკინიგზის ტრანსპორტზე (ქართული სექტორი), 4. სამრეწველო ელექტრონიკა (ქართული სექტორი), 5. კერამიკისა და ცეცხლმედეგების ქიმიური ტექნოლოგია (ქართული სექტორი), 6. სამრეწველო და სამოქალაქო შენებლობა (რუსული სექტორი), 7. თბოაირმომარაგება და ვენტილაცია (ქართული სექტორი), 8. ელექტრული წევა და წევითი დანადგარების ავტომატიზაცია (ქართული სექტორი), 9. გზების, ხიდებისა და აეროპორტების შენებლობა (ქართული სექტორი).

ჟუთაისის საღამოს სწავლების ფაკულტეტი

(ჟუთაისი, 1905 წლის რევოლუციის ქ. № 2)

1. სამრეწველო საწარმოთა და ქალაქების ელექტრომომარაგება (ქართული სექტორი), 2. შავი და ფერადი ლითონების სამსხმელო წარმოება (რუსული სექტორი), 3. მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია, ლითონსაჭრელი ჩარხები და იარაღები (ქართული სექტორი), 4. ავტომატიკა და ტელემექანიკა (ქართული სექტორი), 5. არაორგანულ ნივთიერებათა და ქიმიური სასუქების ტექნოლოგია (ქართული სექტორი).

რუსთავის საღამოს სწავლების ფაკულტეტი

(რუსთავი, რუსთაველის, 16)

1. მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია, ლითონსაჭრელი ჩარხები და იარაღები (ქართული სექტორი), 2. ავტომატიკა და ტელემექანიკა (ქართული სექტორი), 3. არაორგანულ ნივთიერებათა და ქიმიური სასუქების ტექნოლოგია (რუსული სექტორი), 4. ძირითადი ორგანული და ნავთობქიმიური სინთეზის ტექნოლოგია (ქართული სექტორი), 5. ქიმიურ ბოკოების ტექნოლოგია (ქართული სექტორი), 6. სამრეწველო და სამოქალაქო შენებლობა (ქართული სექტორი).

გორის საღამოს სწავლების ფაკულტეტი

(გორი, საბჭოს ქ. № 37)

1. კონსერვირების ტექნოლოგია (ქართული სექტორი), 2. წყალმომარაგება და კანალიზაცია (რუსული სექტორი).

დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტი

(ქართული და რუსული სექტორები)

თბილისის სასწავლო საკონსულტაციო პუნქტი

(ქ. თბილისი, ლენინის, 64)

1. მარგი წიაღისეულის საბადოების გეოლოგია და დაზვერვა, 2. მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია, ლითონსაჭრელი ჩარხები და იარაღები, 3. ქიმიურ წარმოებათა მანქანები და აპარატები, 4. მერქნის მექანიკური ტექნოლოგია, 5. სამრეწველო და სამოქალაქო შენებლობა, 6. თბოაირმომარაგება და ვენტილაცია, 7. წყალმომარაგება და კანალიზაცია, 8. გზების, ხიდების და აეროპორტების შენებლობა, 9. რკინიგზების ექსპლოატაცია, 10. საავტომობილო ტრანსპორტი, 11. თბომავლები და სათბომავლო მეურნეობა.

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის სასწავლო საკონსულტაციო პუნქტი

(ქ. თბილისი, ლენინის ქ. № 64)

1. ელექტრული სისტემები და ქსელები, 2. ელექტრული მანქანები და აპარატები, 3. ელექტრული წევა და წევითი დანადგარების ავტომატიზაცია.

რუსთავის სასწავლო საკონსულტაციო პუნქტი

(ქ. რუსთავი, რუსთაველის 16)

1. შავი ლითონების მეტალურგია, 2. ლითონების წნევით დამუშავება, 3. მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია, ლითონსაჭრელი ჩარხები და იარაღები, 4. მათემატიკური და საანგარიშო-ამოსახსნელი ხელსაწყოები და მოწყობილობანი, 5. არაორგანულ ნივთიერებათა და ქიმიური სასუქების ტექნოლოგია, 6. შემკვრელი მასალების ქიმიური ტექნოლოგია, 7. ქიმიური ბოკოების ტექნოლოგია.

გორის სასწავლო საკონსულტაციო პუნქტი

(ქ. გორი, საბჭოს ქ. № 37)

1. ავტომატიკა და ტელემექანიკა, 2. ბოკოვან მასალათა მექანიკური ტექნოლოგია.

თელავის სასწავლო საკონსულტაციო პუნქტი

(თელავი, კალინინის, 15)

1. ნავთობისა და აირის საბადოთა გეოლოგია და დაზვერვა, 2. კონსერვირების ტექნოლოგია.

ჟუთაისის სასწავლო საკონსულტაციო პუნქტი

(ჟუთაისი, 1905 წ. რევოლუციის ქ. № 2)

1. ელექტრული სისტემები და ქსელები, 2 ლითონთმცოდნეობა, ლითონთა თერმული დამუშავების მოწყობილობა და ტექნოლოგია, 3. ავტომობილები და ტრაქტორები, 4. კერამიკისა და ცეცხლმედეგების ქიმიური ტექნოლოგია. 5. ავტომატიკა და ტელემექანიკა.

ტყიბულის სასწავლო საკონსულტაციო პუნქტი

(ტყიბული, ტყიბულნახშირის ტრესტი)

1. სამარკშეიდერო საქმე, 2. მარგი წიაღისეულის საბადოთა მიწისქვეშა დამუშავების ტექნოლოგია და კომპლექსური მექანიზაცია, 3. სამთო სამუშაოთა ელექტროფიკაცია და ავტომატიზაცია. 4. სამთო მანქანები და კომპლექსები.

ზესტაფონის სასწავლო საკონსულტაციო პუნქტი

(ქ. ზესტაფონი, ფეროშენადნობების ქარხანა)

1. სამრეწველო საწარმოთა და ქალაქების ელექტრომომარაგება, 2. ელექტროქიმიურ წარმოებათა ტექნოლოგია.

სოხუმის სასწავლო საკონსულტაციო პუნქტი

(ქ. სოხუმი, კუიბიშევის ქ. № 18)

1. რადიოტექნიკა, 2. სამრეწველო და სამოქალაქო შენებლობა.

ბათუმის სასწავლო საკონსულტაციო პუნქტი

(ქ. ბათუმი, ნინოშვილის, 35)

1. მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია, ლითონსაჭრელი ჩარხები და იარაღები, 2. კვების წარმოებათა მანქანები და აპარატები.

ჭიათურის სასწავლო საკონსულტაციო პუნქტი

(ქ. ჭიათურა, კომკავშირის ქუჩა)

1. მარგი წიაღისეულის გამდიდრება, 2. სამთო სამუშაოთა ელექტროფიკაცია და ავტომატიზაცია, 3. საავტომობილო ტრანსპორტი.

ტყვარჩელის საყრდენი პუნქტი

(ტყვარჩელი, ტყვარჩელნახშირის ტრესტი)

1. სამარკშეიდერო საქმე, 2. მარგი წიაღისეულის საბადოთა მიწისქვეშა დამუშავების ტექნოლოგია და კომპლექსური მექანიზაცია, 3. სამთო სამუშაოთა ელექტროფიკაცია და ავტომატიზაცია.

ზუგდიდის საყრდენი პუნქტი

(ზუგდიდი, „ინგურჰესმშენი")

1. სამშენებლო და საგზაო მანქანები და მოწყობილობა, 2. სამრეწველო და სამოქალაქო შენებლობა, 3. სამდინარო ნაგებობათა და ჰიდროელექტროსადგურების ჰიდროტექნიკური შენებლობა.

საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მიღებაა წესები იგივეა, რაც სსრ კავშირის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლისათვის.

შემსვლელნი გამოცდებს აბარებენ შემდეგ მაპროფილებელ საგნებში: მათემატიკა (წერა და ზეპირი), ფიზიკა (ზეპირი), ქიმია (ზეპირი); გარდა მაპროფილებელი საგნებისა, ქართულ სექტორზე შემსვლელნი გამოცდას აბარებენ ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა), ხოლო რუსულ სექტორზე შემსვლელნი რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა).

არქიტექტურის სპეციალობაზე შემსვლელნი ქიმიის ნაცვლად აბარებენ გამოცდას ხატვაში და ნახვაში.

განცხადება წარმოდგენილ უნდა იქნას ინსტიტუტის რექტორის სახელზე დაწესებული ფორმის მიხედვით, რომელსაც უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: 1. დოკუმენტი აშუალო განათლების შესახებ (დედანი); 2. დახასიათება უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად, გაცემული სამუშაო ადგილიდან პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ, საწარმო-დაწესებულებების, ორგანიზაციების ხელმძღვანელების მიერ, კოლმეურნეობათა გამგეობების მიერ, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კურსდამთავრებულთათვის — პედაგოგიური საბჭოების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ. საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო სამხედრო-საზღვაო ფლოტიდან დემობილზებულები იდგენენ დახასიათებას სამხედრო ნაწილიდან; 3. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან (მუშაობის სტაჟის მქონე პირთათვის), დამოწმებული საწარმოს ან დაწესებულების ხელმძღვანელების მიერ; კოლმეურნეთათვის — ამონაწერი კოლმეურნის წიგნაკიდან, დამოწმებული კოლმეურნეობის გამგეობის მიერ, რომელშიც ნაჩვენები უნდა იყოს უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელის მიერ ორ წელიწადში ცალცალკე გამომუშავებული შრომადღეების რაოდენობა კოლმეურნეობისათვის დაწესებული შრომადღეების მინიმუმის აღნიშვნით; 4. ავტობიოგრაფია; 5. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286); 6. ოთხი ფოტოსურათი (უქუდოდ; ზომით 3×4 სმ); 7. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.

ინსტიტუტში გამოცხადებისას შემსვლელი პირადად იდგენს პასპორტსა და სამხედრო ბილეთს (თადარიგის სამხედრო ვალდებულნი) ან მიწერის მოწმობას (გასაწვევი ასაკის პირები).

განცხადებების მიღება წარმოებს: დღის სტაციონარზე 31 ივლისამდე, ყოველდღე (გარდა კვირადღეებისა) 12 საათიდან 18 საათამდე, თბილისის საღამოს სწავლების ფაკულტეტზე და დაუსწრებელი სწავლების თბილისისა და ელმავალსამშენებლო ქარხნის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტებში 31 ივლისამდე (ლენინის ქ. № 64), რაიონულ სასწავლო საკონსულტაციო პუნქტებში და საღამოს სწავლების ფაკულტეტებზე 31 ივლისამდე ფაკულტეტების დეკანატებისა და პუნქტების შენობებში.

მისაღები გამოცდები იწარმოებს: დღის სტაციონარზე 1 აგვისტოდან, ქარხნის პუნქტებში — 9 აგვისტოდან, დაუსწრებელი სწავლების რაიონულ სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტებში და საღამოს სწავლების რაიონულ ფაკულტეტებზე — 14 აგვისტოდან.

დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტზე შემსვლელთა განცხადებებში აღნიშნული უნდა იყოს, თუ რომელ ნაკადში სურს შემსვლელს გამოცდების ჩაბარება. II ნაკადში შემსვლელთათვის გამოცდები ჩატარდება 1 ოქტომბრიდან.

მისაღები გამოცდები იწარმოებს სსრკ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამებით.

კონკურსი ჩატარდება სპეციალობების მიხედვით.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტის მიმღებ კომისიაში (ლენინის ქ. № 64).

რექტორატი.



საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი პოლიტექნიკური ინსტიტუტის კორპუსების ხედი.

თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ტექნიკუმი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1964-65 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე (ქართული სექტორი):

I კურსზე: რკინიგზის ექსპლოატაცია. **III კურსზე:** 1. საელმავლო; 2. რკინიგზის ტრანსპორტის ენერგომომარაგება და ენერგეტიკული მეურნეობა (ელექტროსადგურები, ქვესადგურები და ქსელები).

ტექნიკუმში მიიღებიან: I კურსზე — არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი; **III კურსზე** — საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი.

განცხადებები მიიღება 1 ივნისიდან 31 ივლისამდე. **სწავლა დაიწყება** 1 სექტემბერს.

განცხადებებთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას შემდეგი სბბუთები: ა) მოწმობა არასრული საშუალო სკოლის დამთავრების შესახებ (დედანი) პირველ კურსზე შემსვლელთათვის, საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი (დედანი) — მესამე კურსზე შემსვლელთათვის, ბ) ავტობიოგრაფია, გ) ოთხი ფოტოსურათი გადაღებული უქუდოდ ზომით 3×4 სმ, დ) ის პირნი, რომელთაც აქვთ პრაქტიკული მუშაობის საწარმო სტაჟი, წარადგენენ ამონაწერს შრომის წიგნაკიდან, შემოწმებულს წარმობის ხელმძღვანელების მიერ, ხოლო კოლმეურნეობათვის ამონაწერს საკოლმეურნეო წიგნაკიდან, შემოწმებულს კოლმეურნეობის გამგეობის მიერ, ე) დაბადების მოწმობის პირი, შემოწმებული ნოტარიუსის მიერ, ვ) სამხედრო ბილეთი ან მიწერის მოწმობა (წარედგინება პირადად).

ტექნიკუმში მიიღებიან 15-დან 30 წლამდე ასაკის პირები.

ტექნიკუმში შემსვლელნი აბარებენ გამოცდას შემდეგ საგნებში: I კურსზე. 1. ქართულ ენაში — წერა (კარნახი), 2. მათემატიკა — წერა და ზეპირი, **III კურსი.** 1. მათემატიკა — წერა და ზეპირი, 2. ქართული ენა და ლიტერატურა — წერა (თხზულება).

მისაღები გამოცდები იწარმოებს 10 აგვისტოდან 20 აგვისტომდე.

განცხადებები მიიღება შემდეგი მისამართით: თბილისი, პლეხანოვის პრსპ. № 138.

ტექნიკუმში ჩარიცხულნი საერთო საცხოვრებლით უზრუნველყოფილი იქნებიან შესაძლებლობის ფარგლებში.

ტექნიკუმის ადმინისტრაცია.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

თეატრი

22 მაისი

ს. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — I ჯამბაზები, II „სოფლის პატიოსნება" (მე-5 აბონ. მე-9 წარმოდგენა), **რუსთაველის სახელობის დიდი დრამბაზი** — ვახშმრის წინ (მე-20 აბონ. მე-5 წარმოდგენა), **რუსთაველის სახელობის მცირე დრამბაზი** — საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის კონცერტი. **მარჯანიშვილის სახელობის** — კონსული მოლპარეს (მე-12 აბონ. მე-6 წარმოდგენა), **გრიბოედოვის სახელობის** — ჩვეულებრივი სასწაული (მე-9 აბონ. მე-8 წარმოდგენა), **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** (რკინიგზელთა სახლში) — მე და ჩემი მეზობლები, **სანკულტურის** — პოოკეტორო მაიორის საქმე, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — მისი მეგობრები (აბონ. № 18, 10 ს.), მეთორმეტე ღამე (აბონ. № 52, 7 ს.).

ტელევიზია

23 მაისი

18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — ოქტომბრელათვი ი ს — სატელევიზიო ჟურნალი „ჯეკილი", 18.45 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი, 19.05 — გადაცემა ცოკლიდან „გულშემატკივრის ტრიბუნა", 19.25 — კინოჟურნალი „ქინომოგზაურობის ალმანახი" № 3, 19.45 — კონცერტი — „მოვუსმინოთ ახალგაზრდობას", 20.20 — მხატვრული ფილმი „გაზონებზე სიარული ნებადართულია", 21.45 — ახალი ამბები, 22.00 — „ცისფერ ეკრანზე".

კინო

22 მაისი

რუსთაველის სახელობის, კოლხიდა (საზამთრო), ქოსმოსი, ყაზბეგი (პირველი დარბაზი), გორკის სახელობის კულტურის სახლი (საზაფხულო) — **ეშმაკი და ათი მცნება**, ამირანი (საზამთრო), სპარტაკი, 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი), ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი, ყაზბეგი (მეორე დარბაზი), გაზაფხული — **მამაკაცები გუშინ, დღეს და...**, ამირანი (საზაფხულო), კომკავშირელი, 26 კომისრის სახელობის (პირველი დარბაზი), საქართველო (წითელი დარბაზი), ოფიცერთა სახლი — **„საქმრობი" და „დანები"**, ოქტომბერი, ისანი (საზამთრო), პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი (საზამთრო) — **გაცდენილი ზაფხული**, ფილარმონიის ბაღი — **კაცი მატარებლიდან**, საქართველო (მწვანე დარბაზი) — **ძველი მტრობა**, გორკის სახელობის კულტურის სახლი (საზამთრო), — **სიცილი სამოთხეში**, კოლმეურნე — **სინდბადის მეშვიდე მოგზაურობა**, თანამგზავრი — **ამ ღამით.**

რედაქტორი

დ. მჭედლიშვილი.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს

თბილისის საფინანსო-საკრედიტო ტექნიკუმი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1964-1965 სასწავლო წლისათვის

დღის განყოფილება

სპეციალობები:

1. **სახელმწიფო ბიუჯეტი** — ამზადებს სახელმწიფო შემოსავლების ფინანსისტებს (8-წლიანი სკოლის ბაზა, სწავლების ვადა 3 წელი).

2. **შემნახველი სალაროები და სახკრედიტი** — ამზადებს შემნახველი სალაროების აღრიცხვის დარგის მუშაკებს (8-წლიანი სკოლის ბაზა, სწავლების ვადა 3 წელი).

3. **სტატისტიკა** — ამზადებს სტატისტიკოსებს სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოებისა და სახალხო მეურნეობის დარგებისათვის (8-წლიანი სკოლის ბაზა, სწავლების ვადა 3 წელი).

4. **ბუხჰალტრული აღრიცხვა** — ამზადებს ბუხჰალტრებს სამრეწველო საწარმოებისათვის (საშუალო სკოლის ბაზა, სწავლების ვადა 1 წელი და 9 თვე).

5. **აღრიცხვა და ოპერატიული ტექნიკა სახბანკში** — ამზადებს ბუხჰალტრებს სახელმწიფო ბანკის განყოფილებებისათვის (საშუალო სკოლის ბაზა, სწავლების ვადა 1 წელი და 6 თვე).

ტექნიკუმში მიიღებიან ორივე სქესის პირები 30 წლის ასაკამდე, რომელთაც დამთავრებული აქვთ არასრული საშუალო და საშუალო სკოლის კურსი და წარმატებით ჩაბარებენ მისაღებ გამოცდებს:

ა) პირველ კურსზე შემსვლელნი — არასრული საშუალო სკოლის პროგრამის მოცულობით, 1. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), 2. მათემატიკა — (წერა-ზეპირი). **ბ) სპეციალობებში შემსვლელნი** — საშუალო სკოლის პროგრამის მოცულობით: 1. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა-თხზულება), 2. მათემატიკა (წერა-ზეპირი).

მისაღები გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში ტექნიკუმში ჩარიცხვის უპირატესი უფლებით სარგებლობენ: 1. საბჭოთა არმიიდან და სამხედრო-საზღვაო ფლოტიდან დემობილიზებულნი. 2. ორი და მეტი წლის მუშაობის პრაქტიკული სტაჟის მქონე პირები.

დანარჩენ ადგილზე ჩარიცხვა მოხდება კონკურსის მიხედვით. საკონკურსო შერჩევისათვის მხედველობაში მიღებული იქნება როგორც მისაღები გამოცდების ნიშნები, ისე განათლების საბუთში ნაჩვენები ნიშნებიც.

განცხადებების მიღება ტექნიკუმში შემსვლელთაგან წარმოებს 31 ივლისამდე. მისაღები გამოცდები 1-20 აგვისტომდე, ჩარიცხვა 21-25 აგვისტომდე.

განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: 1. განათლების მოწმობა (დედანი), 2. ავტობიოგრაფია, 3. საექიმო ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფ. 286), 4. სამი ფოტოსურათი (ზომა 3×4, გადაღებული უქუდოდ და შემოწმებული), 5. დახასიათება სასწავლებლიდან ან უკანასკნელ სამუშაო ადგილიდან, 6. ამონაწერი შრომის (საკოლმეურნეო) წიგნაკიდან ორი და მეტი წლის სტაჟის მქონე პირთათვის, რომლებიც სწავლის დაწყებისას ტექნიკუმში წარადგენენ მუშაობის სტაჟის დამადასტურებელ საბუთის დედანს, 7. ადგილობრივი საფინანსო ორგანოს მოვლინება.

შემსვლელნი ტექნიკუმში გამოცხადებისას წარმოადგენენ დაბადების მოწმობას ან პასპორტს, სამხედრო ბილეთს (თადარიგში მყოფნი, სამხედრო ვალდებულნი) ან მიწერის მოწმობას (წვევამდელები).

ტექნიკუმში ჩარიცხულები უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით საერთო წესის მიხედვით და შესაძლებლობის ფარგლებში — საერთო საცხოვრებლით.

დაუსწრებელი სწავლების განყოფილება

მიღება იწარმოებს ქართული და რუსული სექტორების I და III კურსებზე. განყოფილება წარმოებისაგან მოუწყვეტლივ ამზადებს საშუალო კვალიფიკაციის მუშაკებს შემდეგი სპეციალობით:

1. **სახელმწიფო ბიუჯეტი** — სახბიუჯეტის, სახშემოსავლების, სახდაზღვევის და სბიუჯეტო აღრიცხვის ფინანსისტებს.

2. **აღრიცხვა და ოპერატიული ტექნიკა სახბანკში** — ბუხჰალტრებს სახბანკის სისტემისათვის.

3. **ფულის მიმოქცევა და კრედიტი** — საკრედიტო ინსპექტორებს სახბანკის სისტემისათვის.

4. **შემნახველი სალაროები და სახკრედიტი** — შემნახველოების აღრიცხვის დარგის მუშაკებს.

5. **ბუხჰალტრული აღრიცხვა**—ბუხჰალტრებს სამრეწველო საწარმოთათვის.

სწავლების ვადა I კურსზე შემსვლელთათვის (არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულებისათვის) 4 წელია, ხოლო **III კურსზე შემსვლელთათვის** (საშუალო განათლების მქონეთათვის) — 2 წელი.

გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში ტექნიკუმში მიიღებიან ასაკის მიუხედავად ორივე სქესის პირები, რომლებიც მუშაობენ: ა) საფინანსო ორგანოებში, ბ) სახდაზღვევის ინსპექციებში, გ) მშენებლის დაწესებულებებში, დ) შემსალაროებში, ე) სახბანკის განყოფილებებში, ვ) სამრეწველო საწარმოებისა და საბიუჯეტო დაწესებულებების ბუხჰალტრული აღრიცხვის დარგში.

მისაღები გამოცდები:

I კურსზე შემსვლელთათვის: ა) ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), ბ) მათემატიკა (წერა-ზეპირი).

III კურსზე შემსვლელთათვის: ა) ქართული ენა და ლიტერატურა (წერა-თხზულება), ბ) მათემატიკა (წერა-ზეპირი).

შენიშვნა: რუსულ სექტორზე შემსვლელები გამოცდებს ქართულის ნაცვლად აბარებენ რუსულ ენასა და ლიტერატურაში.

ტექნიკუმში ჩარიცხვისას უპირატესი უფლებით სარგებლობენ: 1. დიდი სამამულო ომის მონაწილენი, 2. საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტიდან დემობილიზებულნი, 3. ის პირები, რომელთა მუშაობის ხასიათი შეესაბამება არჩეულ სპეციალობას.

განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: 1. განათლების მოწმობა (დედანი), 2. ავტობიოგრაფია, 3. საექიმო ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფ. № 286), 4. სამი ფოტოსურათი (ზომა 3×4, გადაღებული უქუდოდ და შემოწმებული), 5. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, შემოწმებული დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ.

განცხადებების მიღება ტექნიკუმში შემსვლელთაგან წარმოებს 5 აგვისტომდე. **მისაღები გამოცდები** 10-20 აგვისტომდე, **ჩარიცხვა** 21-31 აგვისტომდე.

ტექნიკუმის კანცელარია მუშაობს 9-დან 4 ს. 30 წუთამდე.

მისამართი, თბილისი, კალინინის ქ. № 88, ტელ. 5-07-84, 5-59-30.

კომუნისტი KOMUNISTI ИНДЕКС 66443

თბილისი, ლენინის 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03, 3-03-67, პ/მგ მდივნის — 9-72-80, სამდივნოსი — 3-46-10, განყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61, მრეწველობის — 3-20-43, მარქსისტულ-ლენინური თეორიის, პროპაგანდის, უცხოეთის — 3-22-89, სოფლის მეურნეობის — 3-32-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწ. და სკოლების — 3-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-35-01, ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 9-73-24, განცხადებების — 9-94-42.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

УЭ 01213

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.